პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 218 (12730) | სამშაბათი, 17 სექტემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩვენი ინტერვიუ

მეცნიერთა ფორუმზე

გუშინ დიდი გამოცოცხლება იყო თბილისის აეროდრომზე. აქ მოვიდნენ ქართველი მეცნიერები, გამოჩენილი მათემატიკოსები, რათა დახვედროდნენ თავიანთ კოლეგებს, ცნობილ საბჭოთა და უცხოელ მათემატიკოს მეცნიერებს.

და აი საბჭოთა ავიაციის სიამაყემ — „ტუ-104“ თბილისში ჩამოიყვანა მათემატიკოსთა სიმპოზიუმის მონაწილეები: მოსკოველი, ლენინგრადელი, ნოვოსიბირსკელი, აგრეთვე ამერიკელი, ინგლისელი, იაპონელი, ჩეხი, იტალიელი, ინდოელი და სხვა ქვეყნების მეცნიერები. მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ქართველმა მეცნიერებმა.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა სიმპოზიუმის ზოგიერთ მონაწილეს და სთხოვა გამოეთქვა აზრი ამ დიდი ფორუმის მნიშვნელობაზე. აი რა თქვეს მათ.

□

ლ. სედოვი,

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

— აი უკვე თბილისში ვართ, ახლა უკვე მესამედ ჩამოვედი თქვენს შესანიშნავ ქალაქში, იგი ერთ-ერთი საყვარელი ქალაქია ჩემს დიდ სოციალისტურ სამშობლოში.

ამ დიდ ღონისძიებას — მსოფლიოს მათემატიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმს — უდიდესი მნიშვნელობა ექნება მსოფლიოს მათემატიკოსებისათვის. თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული მათემატიკის განვითარების დონეზე. ჩვენ აქ მოვისმენთ მსოფლიო მეცნიერების მიღწევებს, გავეცნობით გამოკვლევებს საქართველოს მათემატიკური სკოლისას, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობს გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი ნ. მუსხელიშვილი, აგრეთვე მოხდება უცხოელი და საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა ურთიერთგაზიარება და მეცნიერებს შორის დამყარდება პირადი კონტაქტები.

ღუს თბილისში თავი მოიყარეს მეცნიერებმა, რომელთა შორის აზრთა გაზიარება ახალ ბიძგს მისცემს იმ მეცნიერებებს, რომლებსაც საფუძველად უდევს უწყვეტ გარემოთა მექანიკა.

პლენარულ სხდომაზე გათვალისწინებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მ. კელდიშისა და ჩემი მოხსენება თემაზე: „კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენება ჰიდროდინამიკაში და აეროდინამიკაში“. აქ ჩვენ გავაშუქებთ ბევრ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია ტექნიკის განვითარებასთან.

სურათზე: მათემატიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეთა ერთი ჯგუფი თბილისის აეროდრომზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ნ. მუსხელიშვილი,

სიმპოზიუმის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

— **ღუს** თბილისში მუშაობას იწყებს საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც განიხილავს მექანიკაში ფუნქციათა თეორიის გამოყენების საკითხებს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათემატიკოსთა და მექანიკოსთა ამ ფორუმს. თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საკითხთა საერთაშორისო კავშირის გადაწყვეტილება, რომ მეცნიერთა ასეთი წარმომადგენლობითი შეხვედრა მოიწვიონ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ფართოდ არის აღიარებული ქართული მათემატიკური სკოლის წარმატებანი. ქართველმა მეცნიერებმა მოიპოვეს დამაგვირგვინებელი და დიდი მნიშვნელობის მქონე შედეგები მათემატიკური ფიზიკის ისეთ დარგში, როგორიც არის დრეკადობის თეორია.

კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის უწყვეტი გარემოს მექანიკაში გამოყენების დახმარებით უდიდესი შედეგებია მოპოვებული თანამედროვე აეროდინამიკაში, მანქანათა დეტალების გაანგარიშებაში, რთული ტექნიკური სისტემებისა და კონსტრუქციების შექმნაში და სხვა. მეცნიერთა ამოცანაა გამოიყენონ მათემატიკურ მეცნიერებათა უახლესი მიღწევები და გაავართონ ფუნქციათა თეორიის გამოყენების ხფერო.

მრავალი ქვეყნის მათემატიკოსმა და მექანიკოსმა უდიდესი ინტერესი გამოიჩინა ჩვენი სიმპოზიუმისადმი. 19 ქვეყნის დაახლოებით 200 მეცნიერმა სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიიღოს სიმპოზიუმის მუშაობაში.

სიმპოზიუმის მონაწილეები მოიხმენენ ექვს გენერალურ მოხსენებას. ამ მოხსენებებს წაიკითხავენ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორიც არიან აკადემიკოსები მ. ვ. კელდიში და ლ. ი. სედოვი (სსრ კავშირი), ა. ნ. სნედონი (ინგლისი), ვ. ტ. კოიტერი (ნიდერლანდი) და სხვა.

მოხმენილ იქნება აგრეთვე 50 მოხსენება ფუნქციათა თეორიის გამოყენების განვითარების სპეციალურ პრობლემებზე. სიმპოზიუმის მუშაობა ძირითადად იწყარმოებს ორ სექციაში: დრეკადობის თეორიისა და ჰიდრომექანიკის სექციებში.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მეცნიერთა შეხვედრა ხელს შეუწყობს მათემატიკისა და მექანიკის ამ მნიშვნელოვანი დარგის შემდგომ განვითარებას, შესაძლებელს გახდის უფრო მჭიდრო, მეგობრული შემოქმედებითი ურთიერთობა დაამყარონ ერთმანეთთან მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერებმა.

მეცნიერება და ცხოვრება

საბჭოთა მეცნიერება, სიცოცხლით, ძალითა და ენერგიით აღსავსე, მტკიცედ მიდის ალმავლობის გზით, წლითიწლობით ზრდის თავის წვლილს დიადი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში. ჩვენს მოწინავე საბჭოთა მეცნიერებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ მომავლის კომუნისტური საზოგადოება, სანუკვარი კომუნიზმი შეუძლებელია ავაგოთ ისე, თუ არ გვექნა მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროგრესული იდეოლოგია, მაღალი კულტურა. ლენინური კომუნისტური პარტიის ისტორიულ XXII ყრილობაზე დასახულია ეკონომიკისა და კულტურის გიგანტური განვითარების გეგმა; მისი განხორციელება საბჭოთა მეცნიერების წინაშე დიდსა და რთულ ამოცანებს აყენებს. სწორედ ამ ამოცანებს უნდა ექვემდებარებოდეს ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებების, საზოგადოებების, თვითეული მეცნიერის მთელი საქმიანობა და მოღვაწეობა.

დიდია ქართველ მეცნიერთა წვლილი ჩვენი რესპუბლიკის, და არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, ეკონომიურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი წლები მეტად ნაყოფიერი პერიოდი იყო ცოდნის უმნიშვნელოვანეს დარგებში მოწინავე პოზიციების განმტკიცებისათვის. საბჭოთა საქართველოს მეცნიერების არაერთმა დარგმა ჰპოვა მსოფლიო აღიარება. ამ მეცნიერებათა მონაპოვრებმა შორს, ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც მიიღეს გამოყენება.

იმას, თუ რაოდენ დიდია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მისი ინსტიტუტების ხვედრითი წონა მსოფლიოს მეცნიერულ აზროვნებაში, მოწმობს ცალკეული ინსტიტუტებისა და ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო კავშირები, აკადემიებთან და სამეცნიერო საზოგადოებებთან, ის დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებანი, რაც სწორედ ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება. ასეთი იყო, მაგალითად, მეოდვნეთა შარშანდელი მსოფლიო კონგრესი, რომლის მონაწილე მსოფლიოს მრავალი კუთხის გამოჩენილმა მეცნიერებმა შესანიშნავი შეფასება მისცეს ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებათა მონაპოვრებს, ჩვენს სახელგანთქმულ მეცნიერებს.

ჩვენი რესპუბლიკის მრავალი დარგის მეცნიერთა თვალსაჩინო წონაზე მსოფლიო მასშტაბით ისიც მეტყველებს, რომ სწორედ საბჭოთა საქართველოში დღეს მუშაობას იწყებს მათემატიკოსთა მსოფლიო სიმპოზიუმი. შემთხვევითი როდია, რომ მსოფლიოს მათემატიკოსები საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და მის მეცნიერთა სტუმრები ჩანან, და რომ ამ სიმპოზიუმს საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარეა ჩვენი სახელოვანი მათემატიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი აკადემიკოსი ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი.

საამაყოა, რომ ჩვენი აკადემია დიადი სოციალისტური საშობლოს მეცნიერების ერთ-ერთი მოწინავე და მძლავრი კერაა, რომელსაც წლითიწლობით სულ უფრო და უფრო მეტი თვალსაჩინო წვლილი შეაქვს საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში.

მეცნიერების ძალა ცხოვრებასთან ურღვევ კავშირშია. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ჩვენი რესპუბლიკის მათემატიკოსების, ფიზიოლოგების, ფიზიკოსების, ქიმიკოსების მოღვაწეობამ, გეოფიზიკის, გეოლოგიის, ბიოლოგიის და მეცნიერებათა სხვა მრავალი დარგის ინსტიტუტების საქმიანობამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი წარმოების ცხოვრებაში, რესპუბლიკის ეკონომიკასა და საერთოდ მეცნიერული კვლევების ალმავლობაში.

რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევმა ორგანიზაციებმა შეასრულეს მთელი რიგი ისეთი სამუშაოები, რომლებსაც აქვთ არა მარტო თეორიული, არამედ აგრეთვე უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც საშუალებას გვაძლევს უკეთ გამოვიყენოთ ნედლეული მასალები, მოვაწყოთ ახალ სახეობათა პროდუქციის გამოშვება, დავნერგოთ წარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები და განვახორციელოთ წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ჩვენი მეცნიერების სათანადო წვლილია იმაშიც, რომ ამაღლდა მექანიზებულ სამუშაოთა ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობაში, რომ დიდი მუშაობაა ჩატარებული ჩაის საკრეფი მანქანის კონსტრუქციისა და გამოყენების საქმეში. მოწონებულია და საწარმოო სამმართველოებს დაურიგდათ რეკომენდაცია ვენახებში სიმეჩხრის ლიკვიდაციისა და ვაზის სანაყოფე რქის წვერის ჩაწიდვნის მეთოდის შესახებ. ჩვენი გამოჩენილი აგროქიმიკოსები, მეცნოველეები ზრუნავენ თავიანთი მეცნიერული მონაპოვრების დანერგვისათვის. ფართო გასაქანი ეძლევა აგრობიოლოგიის შემდგომ განვითარებას. სოფლის მეურნეობის ახალი ზღუდეების აღებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის და კვლავაც უნდა ეკუთვნოდეს მეცნიერებას. საქართველოს მეცნიერებს გამოყვანილი აქვთ ჩაის, ხეხილის, ვაზის, ხორბლის, სიმინდის უხვმოსავლიანი ჯიშები. შემუშავებულია ნიადაგის დამუშავების, სასუქების გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლის ახალი რაციონალური წესები, მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ჩატარებული პირუტყვისა და მცენარეთა დაავადების მკურნალობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებანი გვავალებს კიდევ უფრო მივუახლოოთ წარმოებას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, კიდევ უფრო განვმტკიცოთ მეცნიერებისა და ცხოვრების, თეორიისა და პრაქტიკის კავშირი. სამეცნიერო ორგანიზაციები კიდევ უფრო მეტს უნდა მუშაობდნენ წარმოების შემდგომი ტექნიკური სრულყოფისათვის, მეცნიერების მონაპოვართა წარმოებაში დანერგვისათვის. უდიდესი ამოცანები აკისრია ამ მხრივ ჩვენს ზუსტ მეცნიერებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნის გზებთან ერთად დასახა ახალი ამოცანები აგრეთვე სამეცნიერო კვლევის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ მეცნიერების განვითარებას, სახელმწიფო უდიდეს თანხებს ხარჯავს მეცნიერების განვითარებისა და მის მონაპოვართა დანერგვისათვის. ამ დანახარჯების ეფექტურობა მუდმივი და სრულყოფილი უნდა იყოს, სამეცნიერო დაწესებულებამ, რომელსაც შესანიშნავი შენობა აუგეს, რომელიც საუკეთესო ხელსაწყოებითა და ლაბორატორიებით მოაწყეს, ახალი მნიშვნელოვანი გამოკვლევებით უნდა უპასუხოს ზრუნვას. სამწუხაროდ, ზოგიერთი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება ყოველთვის როდი ამართლებს ამ მოთხოვნას და მოლოდინს. ბევრია ისეთი თემა, რომელიც დიდი ხანია მუშავდება, მაგრამ რაიმე საგრძნობი მნიშვნელობა ამ თემას არა აქვს არც ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის და არც, საერთოდ, თეორიული სიახლის თვალსაზრისით.

მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის, ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან მისი კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის ნაკლებად არიან გამოყენებული ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერული ძალები, რომლებიც ესოდენ დიდ მუშაობას ეწევიან ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის.

„სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილ დადგენილებაში მრავალ თვალსაჩინო მიღწევებთან ერთად აღნიშნულია საგრძნობი ნაკლოვანებანი. ეს შეეხება ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მუშაობასაც, კერძოდ. სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციას; სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციის ნაკლოვანებას კი შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს არა მარტო თვით სამეცნიერო კვლევის განვითარებაზე, არამედ—უფრო მეტად — მის პრაქტიკულად დანერგვაზე. მეცნიერები არა მარტო უნდა აღმოაჩენდნენ და წინ სწევდნენ თეორიას, არამედ ყოველმხრივ უნდა ზრუნავდნენ ცხოვრებაში მისი დანერგვისათვის.

საქართველოს ნიჭიერ მეცნიერთა მთელი არმიის წინაშე დაყენებულია უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანები — თავიანი წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად საბჭოთა ხალხის გრანდიოზულ ბრძოლაში.

ეჭვი არ არის, ჩვენი მეცნიერები სამშობლოს კვლავ ახალი და ახალი მონაპოვრებით გაახარებენ.

ა. ფერი,

(ფრიპორტი, ამერიკის შეერთებული შტატები)

— თბილისში მოწვეული მათემატიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმი იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენი, მსოფლიო მათემატიკოსებას, ცხოვრებაში, რომ მასზე დასაწრეგად ამერიკელმა მეცნიერებმა 6 ათასი მილი გამოვიარეთ. მე ვმუშაობ ჰიდროდინამიკის დარგში და ჩემი მოხსენებაც ამ სიმპოზიუმზე მიძღვნილია ისეთი თემისადმი, როგორიც არის „ორი პეტროგენული ნაკადის შერევა“. ეს საკითხი ინტერესს მოკლებული არ იქნება მეცნიერებისათვის, და ჩვენც, ამერიკელი მეცნიერები, ბევრ ახალ და ჩვენთვის საინტერესო გამოკვლევას გავეცნობით საბჭოთა და უცხოელი კოლეგების მოხსენებებში.

თბილისში პირველად ვარ და იგი თვალის ერთი გადავლებით ძალიან მომწონს, ხოლო მოსკოვსა და ლენინგრადში ვყოფილვარ საერთაშორისო ღონისძიებებზე.

მინდა ვისარგებლო ამ ინტერვიუთი და კეთილი სურვილები გადავცე გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს.

ამხანაგ იან ედუარდის-ძე კალნგერზინს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სამოცდაათი წლის შესრულების დღეს გულითადად მოგილოცავთ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს.

გისურვებთ იან ედუარდის-ძეს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ წარმატებებს შემდგომ მუშაობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ე. კალნგერზინისათვის სოციალისტური შრომის გმირის ჭოდების მინიჭების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მიენიჭოს ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. იან ედუარდის-ძე **კალნბერზინს სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ჩაქუჩი“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1963 წლის 16 სექტემბერი.

ნ. ს. ხრუშჩოვი ვოლგოგრადის ოლქში

ვოლგოგრადი, 16 სექტემბერი. (საკუთარი კორ.). დღეს ვოლგოგრადის ოლქში თვითმფრინავით ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

აეროდრომზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს დახვდნენ პარტიის ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები: სასოფლოსი — ა. მ. შკოლნიკოვი, სამრეწველოსი — ა. კ. ჩერედნიჩენკო, საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეები—ლ. ს. ბუტიჩენკო, და ნ. ი. ჩმუტოვი, ქვემო ვოლგის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ი. ფ. სინიცინი და ოლქის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

აეროდრომიდან ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სარწყავი მიწათმოქმედების უდიდესი მეურნეობის, „ვოლგო-დონის“ საბჭოთა მეურნეობის მინდვრებზე წავიდა. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა ბოსტნეულის პლანტაციები, სიმინდის ნათესები, ესაუბრა საბჭოთა მეურნეობის მუშებს, მერგოლურებს, სპეციალისტებს.

ნაშუადღევს ნ. ს. ხრუშჩოვი ქალაქ ვოლგოგრადში ვოლგისპირეთის სარწყავი მიწათმოქმედების პრობლემებზე ესაუბრა წყალთა მეურნეობის სპეციალისტებს, საპროექტო ორგანიზაციების მუშაკებს.

3. 3. ტერეშკოვა და 3. თ. გიორგაძე მოსკოვს დაბრუნდნენ

15 სექტემბერს უცხოეთის მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნდნენ კოსმონავტები ვალენტინა ტერეშკოვა და ვალერი გიორგაძე. შვიდი დღე დაჰყვეს ვარსკვლავთა შორის უკანასკნელი რეისის გმირებმა ბულგარელ მეგობრებს შორის. ისინი იყვნენ საპატიო სტუმრები ზეიმზე, რომელიც მიეძღვნა თავისუფლების დღეს — ბულგარეთის ეროვნულ დღესასწაულს.

(საკუთარი).

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. (საკუთარი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დინ რასკი, რომელიც ეწვია სატელევიზიო პროგრამით გამოვიდა და პასუხი გასცა შეკითხვებზე თუ როგორი მდგომარეობაა სამხრეთ ვიეტნამში, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ურთიერთობა დიქტატორ ნგო დინ დიემის მთავრობასა და სამხრეთ ვიეტნამის ხალხს შორის „გაუარესდა“.

მან ხაზი გაუსვა, რომ იმ სიტუაციაში, რომელიც ახლა შეიქმნა, „ლაპარაკიც ზედმეტია სამხრეთ ვიეტნამიდან ჩვენს წასვლაზე“. ამასთან დაუმატა მან, იგი დარწმუნებულია სამხრეთ ვიეტნამს უნარი შესწევს ბოლო მოუღოს შინაგან გათიშვასო.

სახელმწიფო მდივანმა იწინასწარმეტყველა სამხრეთ ვიეტნამში „ერთგვარი დაძაბულობისა და დროებით სიძნელეთა პერიოდი“ და აღნიშნა, რომ ამერიკა კვლავ ეფექტურ დახმარებას გაუწევს დიქტატორულ რეჟიმს.

რასკმა ხაზი გაუსვა, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებანი ვიეტნამისათვის, ლაოსის, კუბისა და ბერლინისათვის დაკავშირებულია განიარაღების საერთო პრობლემასთან და თქვა, რომ ჯერჯერობით არა აქვს ამ პრობლემის მოწესრიგების იმედი. „უახლოეს კვირეებსა და თვეებში ჩვენ ვერ დავინახავთ ვერავითარ შორს გამიზნულ ღონისძიებას განიარაღებისათვის“.

რასკი შეეხო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას და განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის სესიაზე იგი საბჭოთა კავშირის ხაგარეო საქმეთა მინისტრ ა. ა. გრომიკოსთან ერთად განიხილავს შესაძლო შემდგომ ნაბიჯებს.

მთავრობის ჯილდოების გადაცემა

14 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მთავრობის ჯილდოები, საპატიო წოდებათა მინიჭების სიგელები გადაეცათ კულტურის მოღვაწეებს, რეჟისორებს, მშენებლებს, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოთა მუშაკებს, სამხედრო ჟურნალისტებს, კომონმისტებს, სამხედრო მოსამსახურეებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. **ზ. ა. კვაჭაძემ** წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **გ. ს. ძოწენიძემ „საპატიო ნიშნის“** ორდენი გადასცა ინჟინერ **ა. ა. ჭანტურიას**, რომელიც დაჯილდოებულია მოპოეტეტული წარმატებებისათვის ცემენტის გამოშვების საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებასა და ათვისებაში და ცემენტის მრეწველობის ტექნიკურ შეიარაღებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადაეცათ რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კომპოზიტორ **რ. კ. გაბიჩვაძეს**, რომელმაც ეს ჯილდო მიიღო დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და დამსახურებისათვის ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომობილთა რეგონტისა და ექსპლოატაციის კათედრის გამეგეს **გ. ი. უშვერიძეს**, რომელიც დაჯილდოვეს დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით და დამსახურებისათვის საინჟინრო-პედაგოგიური მოღვაწეობის დარგში.

მეომართა მხედრულ და პოლიტიკურ აღზრდაში, სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პროპაგანდაში, ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების მშრომელებთან ნაწილებისა და ქვედანაყოფების კავშირის განმტკიცებაში დამსახურებისათვის ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთი **„ლენინსკოე ზნამია“** დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. ეს ჯილდო გადაეცა გაზეთის რედაქტორს **მ. კ. ბოლოვასტაკოვს.** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადაეცა აგრეთვე გაზეთის რედაქციის მუშაკთა ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოვეს ნაყოფიერი მუშაობისათვის პრესაში. მათ შორის არიან საბრძოლო და ფიზიკური ჰიმმზადების განყოფილების კორესპონდენტ-ორგანიზატორი **ა. ი. ზაბელინი**, გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი **ვ. პ. სოროკინი**, გაზეთის გამომშვები **ც. მ. მარუკიანი** და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი მიიღო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს გასამხედროებული სამთო-სამაშველო ნაწილის უფროსმა **ო. პ. გედევანიშვილმა**, რომელიც დაჯილდოვეს მეშახტის დღესთან დაკავშირებით და ნაყოფიერი მუშაობისათვის სამთო მრეწველობის დარგში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადაეცა რკინიგზელთა დიდ ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოვეს რკინიგზელის დღესთან დაკავშირებით და ნაყოფიერი მუშაობისათვის რკინიგზის ტრანსპორტზე. დაჯილდოებულთა შორის არიან თბილისის საორთქლმავალო დეპოს უფროსის მოადგილე **ე. ა. ახალაია**, თბილისის სადგურის დისპეტჩერი **ა. ს. კალაძე**, თბილისის სატვირთო სადგურის მატარებელთა შემდგენელი **ი. ს. იმნაიშვილი** და სხვები.

რკინიგზელის დღესთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის რკინიგზის ტრანსპორტზე რკინიგზელთა ჯგუფს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის წოდება. ამ საპატიო წოდების მინიჭების სიგელები მიიღეს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ოსტატმა **ა. გ. ბერიკაშვილმა**, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სალოკომოტივო სამსახურის ინჟ. **ლ. ა. ვაშაკიძემ** და სხვებმა.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს უფროსს **ს. ვ. ოდილავაძეს** გადაეცა საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდების მინიჭების სიგელი.

საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების სიგელები მიიღეს პენსიონერმა **დ. ფ. მჭედლიშვილმ,** და ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყ. უფროსმა ინჟ. ეკონომისტმა **შ. კ. ჩოდრიშვილმა.**

მშენებლის დღესთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის მშენებელთა ჯგუფს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის წოდება. ამ საპატიო წოდების მინიჭების სიგელები გადაეცათ საბურთალოს აეროს მექანიკური ქარხნის დირექტორს **ი. გ. ინგოროყვაცს.** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროს ინჟინერს **გ. ა. კანდელაკასა** და სხვებს.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის № 4 სამშენებლო სამმართველოს მეამწეს **ი. ზ. ფურცელაძეს,** რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს **ჯ. კ. იამანიძესა** და სხვებს, სულ 24 მშენებელს, გადაეცათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები, რომლებთანაც ისინი დაჯილდოვეს მშენებლის დღესთან დაკავშირებით და ნაყოფიერი მუშაობისათვის სახალხო მეურნეობის დარგში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები მიიღო ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაკთა ჯგუფმა, რომლებიც დაჯილდოვეს მისი 25 წლისთავის გამო. მათ შორის არიან ლექტორი-ექსკურსიამძღოლები **ა. ო. ბაღდასაროვი, ვ. ა. ლობჟანიძე** და სხვები.

ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო მოსამართლეს **ი. ტ. გვაზოეას,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს **ვ. ი. მაისურაძეს,** აგრეთვე სასამართლო ორგანოების მთელ რიგ სხვა მუშაკებს გადაეცათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები, რომლებთანაც ისინი დაჯილდოვეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 40 წლისთავთან დაკავშირებით და ნაყოფიერი მუშაობისათვის სასამართლო ორგანოებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადაეცა აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოვეს ხანგრძლივი და უმწეველი მუშაობისათვის.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს თბილისის საორთქლმავლო დეპოს უფროსმა **ს. ვ. ოდილავაძემ,** ამერიკაკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსმა ინჟინერმა **გ. ი. ერაკეცოვამ,** საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „მთავარობილისმშენის“ გაერთიანებული სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. ა. დათუაშვილმა,** ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა **ა. კ. კელენჯერიძემ,** გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქტორმა **მ. კ. ბოლოვასტაკოვმა,** რომლებმაც აღუთქვეს პარტიას და მთავრობას, რომ კიდევ უფრო თავდადებით იშრომებენ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეში.

ამხ. **გ. ს. ძოწენიძემ** გულთბილად მიუღოცა დაჯილდოებულთან და ახალი წარმატებები უსურვა მუშაობაში სამშობლოს საკეთილდღეოდ. (საქმესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

აზერბაიჯანი ემზადება საიათნოვას იუბილესათვის

საიათნოვას სახელი ახლობელი და ძვირფასია აზერბაიჯანელი მშრომელებისათვის. ამიერკავკასიის ხალხთა შესანი

ივნისის კლენუმის გადაწყვეტილებანი მოქმედებაში

თეატრი და თანამედროვეობა

გასული თეატრალური სეზონის შედეგები და ახალი სეზონის პერსპექტივები

თ. ბუაჩიძე,
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ფართო და ნათელი პერსპექტივები გადაშალა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა წინაშე. პარტიამ იდეოლოგიური შუშაობა კონკრეტულად დაუკავშირა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებს და ამით თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანა იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა საქმიანობა.

სერიოზული ამოცანების წინაშე დგას თანამედროვე ქართული თეატრიც. ჩვენი ვალია ახალი შემოქმედებითი აღმავლობით ვუპასუხოთ იმ დიდ ნდობას, რასაც პარტია იჩენს საბჭოთა სცენის მოღვაწეების მიმართ. გასაკეთებელი კი ამ მხრივ ძალიან ბევრი გვაქვს.

გასულ თეატრალურ სეზონში ჩვენმა თეატრებმა ვერ გაგვაგზავნეს დიდი მნიშვნელობის მქონე სპექტაკლებით თანამედროვეობის აქტიურ საკითხებზე. ვერ შეიქმნა ისეთი სცენური ქმნილებები, რომლებიც სრულყოფილად ასახავდნენ ჩვენს გმირულ თანამედროვეობას, მშრომელი საბჭოთა ადამიანის სასახელო საქმეებს.

ცხადია, ეს მდგომარეობა გარკვეულად განპირობა ჩვენი წამყვანი დრამატურგების ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელმა შუშაობამ, იმან, რომ თეატრებმა გასულ წელს ვერ მიიღეს სრულფასოვანი პიესები თანამედროვეობის თემაზე, მაგრამ ეს ვერ მოხსნის პასუხისმგებლობას თეატრის შუშაკებს, რომლებიც მთელი მონდომებით არ იბრძვიან ახალი საინტერესო დრამატურგიული ქმნილებების მოსაპოვებლად. აქ მთელი სიმწვავით დგება სცენისა და ლიტერატურის მოღვაწეთა შემოქმედებითი ურთიერთობის პრობლემა, რომლის დადებითად გადაჭრა, აგერ რამდენი ხანია, ვერ იქნა და ვერ მოხერხდა. უნდა აღინიშნოს, რომ თეატრების ხელმძღვანელებმაც დღემდე ვერ შეძლეს ნორმალური შემოქმედებითი ურთიერთობის დამყარება ქართველ მწერალთა მრავალრიცხოვან რახშთან და ამის გამო ქართული თეატრი წლიდან წლამდე განიცდის თანამედროვეობის ამსახველი პიესების მწვავე ნაკლებობას.

იმის ნათელ მაგალითად, თუ რა სასიხარულო შედეგი შეიძლება მოპყვეს მწერლისა და თეატრის ჭეშმარიტ შემოქმედებით მეგობრობას, დავასახელებთ ახალგაზრდა მწერლის ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების წარმატებას მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე. ნ. დუმბაძისა და რეჟისორ გ. ლორთქიფანიძის მტკიცე შემოქმედებითი ურთიერთობის შედეგად მიგიღეთ ორი ისეთი სცენური ქმნილება, რომლებმაც ახალი წარმატება მოაპოვებინეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრს. ამჟამად ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის პიესებით დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქის, მათ შორის მოსკოვისა და ლენინგრადის წამყვანი თეატრები.

კიდევ შეიძლებოდა გასული თეატრალური სეზონიდან რამდენიმე სასიამოვნო ფაქტის დასახელება. პირველ რიგში გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლების გაზრდილი ინტერესი თეატრისადმი. გასულ სეზონში დაიდგა რამდენიმე პიესა ახალგაზრდა დრამატურგებისა. კერძოდ, რუსთაველის თეატრმა განახორციელა ოტია იოსელიანის პირველი დრამატურგიული ქმნილება „ადამიანი იბადება ერთხელ", რომელსაც მნიშვნელოვანი ლიტერატურული ღირსებები ახასიათებს. ჭითუნის სახელმწიფო თეატრში დაიდგა გივი მარუაშვილის სატირული კომედია „საქმენი აჭიმეთურნონ"; თელავის თეატრის სცენაზე ვიხილეთ გოდერძი ბერიაშვილის დრამა „ტირფები მტკვრის პირას"; გარკვეულ ინტერესს იწვევს ლევან სანიკიძის პიესა „მედეა", რომელიც ქუთაისის თეატრმა წარმოადგინა; პერსპექტიული ახალგაზრდა დრამატურგები არიან ვ. გოგოლაშვილი, რომლის „წერილებმა" დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოველ მაყურებელთა შორის, ვ. გოგლიძე (მისი პიესა „მყინვარი" განახორციელა შუშანიანის სახელობის სომხური დრამის თეატრმა) და სხვები.

რაღა თქმა უნდა, ხსენებულ ავტორთა ყველა პიესამ ვერ მოიპოვა ჩვენი საზოგადოების ფართო აღიარება, მაგრამ თვით ფაქტი თეატრის სარბიელზე ახალი ავტორების გამოჩენისა მრავალისმეტყველი და იმედის მომცემია.

თბილისის საზოგადოებრიობა სეზონის მიწურულს დიდი მნიშვნელობის მოვლენის მოზმე გახდა. წელს თბილისს საგასტროლოდ ეწვივნენ მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანის წამყვანი მხატვრული კოლექტივები — ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი და ბაკოს აზიზბეოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. გარდა ამისა, გასტროლები გამართა ბაკოს მუსიკალური კომედიის თეატრმა, რომელმაც თბილისის გარდა საქართველოს სხვა რაიონის მშრომელებსაც გაუკეთა თავისი შემოქმედება.

საპასუხო ვიზიტით ბაკოსა და ერევანში ჩავიდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რომლის წარმოდგენებს რამდენიმე ათეული ათასი მაყურებელი დაესწრო.

ორმხრივი საგასტროლო მოგზაურობის დიდი წარმატება ნათელი გამოხატულება იყო ერთი მხრივ ამ კოლექტივების მაღალი შემოქმედებითი დონისა და მეორე მხრივ ეს იყო ბრწყინვალე დადასტურება ამერიკაკავკასიის ხალხთა ძმური თანამეგობრობისა. ეს იყო პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი, რომელმაც ერთხელ კიდევ ნათელყო მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის ის უარეყვი გრძნობა, რაც დღითიდღე უფრო და უფრო მტკიცდება და მაღლდება.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინაშე მწვავედ დგას რეპერტუარის განახლების და გამდიდრების რთული საკითხი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თეატრის ხელმძღვანელობა მთელი სერიოზულობით მოეკიდება და მოკლე დროში გადაჭრის ამ დიდი მნიშვნელობის საკითხს.

ჩვენი აზრით, სეზონის შედეგებით არცთუ ისე კმაყოფილი უნდა იყოს რუსთაველის სახელობის თეატრის ხელმძღვანელობა. თითქმის ვერც ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები ვერ შექმნა თეატრმა მთელი სეზონის განმავლობაში. ეს იმის შედეგია, რომ თეატრმა სწორედ ვერ წარმართა სარეპერტუარო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ეს თეატრი ყველაზე ბევრს შუშობს უშუალოდ დრამატურგებთან და მათთან მჭიდრო კონტაქტშია, წარმოებაში ჩაუშვა იდეურად საეჭვო და მხატვრულად არასრულფასოვანი ნაწარმოებები, რომლებსაც, რასაკვირველია, დიდი წარმატება არ ჰქონიათ. სწორად მოიქცა რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობა, როცა დასადგმელად მიიღო ო. იოსელიანის პიესა „ადამიანი იბადება ერთხელ", მაგრამ ბიესის სცენურ გადაწყვეტაში აბრობრივი აქცენტების არასწორი განაწილების შედეგად პიესას რამდენადმე დაეკარგა იდეური სიმძაფრე და მხატვრული დამაჯერებლობა. სუსტი გამოდგა „ამირანის" განხორციელება.

რუსთაველის თეატრის შემოქმედებით კოლექტივს ახალ სეზონში გათავისებული ენერგიით მართებს შუშობა თავისი მაღალი ავტორიტეტის განსამტკიცებლად.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა სეზონის პირველ პრემიერად ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს" წარმოადგინა. სპექტაკლი დღემდე დიდი მოწონებით სარგებლობს და სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქრთო, რომ ეგი დიდხანს შერჩება ქართულ სცენას. პიესის მაღალი ჰუმანიზმი, ნათელი ოპტიმიზმი, ჯანსაღი იდეური მიმართულება და მხატვრულ სახეთა ნამდვილი ოსტატობით გამოძერწვა ამ ნაწარმოების სცენური გაბარჯვების უმთავრესი პირობაა.

სამწუხაროდ, ასეთივე სასიხარულო შედეგთან არ დაგვრგვინდა გასულ სეზონში მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე განხორციელებული სხვა პიესების დადგმა. თუ სეზონის ბოლოს წარმოდგენილმა სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავმა" (რეჟისორი ა. ქუთათელაძე) წარმატება მოუტანა თეატრის კოლექტივს, სამაგიეროდ „კერპისა" და „ბუღარას" დადგმა აქტივშე ვერ ჩაითვლება. გასულ სეზონში მარჯანიშვილის თეატრში გადახალისდა ხელმძღვანელობა. თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელად დაინიშნა გამოცდილი რეჟისორი, რუსუბლიკის სახალხო არტისტი არჩ. ჩხარტიშვილი, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახალი სეზონი ახალი შემოქმედებითი გამარჯვებების მომტანი აღმოჩნდება ამ თეატრისათვის.

ბ რიგოლდოვის რუსული დრამის თეატრმა 1962-63 წლის სეზონში რვა ახალი დადგმა განახორციელა. დიდი მოწონება ხვდა ქართველი დრამატურგის კ. ბუაჩიძის კომედიას „ეზოში ავი ძაღლია" (რეჟისორი ს. ჭელიძე). თეატრი მთელი სეზონის განმავლობაში ისე შუშობდა რომ მთავარი რეჟისორი არ ჰყოლია, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა გრიბოედოველებს მრავალფეროვანი რეპერტუარით წარმომდგარიყვნენ მაყურებლის წინაშე. ცალკეულ დადგმებზე მოწვეული იყვნენ ჩვენი საუკეთესო რეჟისორები: არჩ. ჩხარტიშვილი, მიხ. თუმანიშვილი, გ. ლორთქიფანიძე. მათი შუშობით თეატრმა ბევრი შეიძინა პროფესიული ოსტატობის შემდგომი ამაღლების თვალსაზრისით. მეორე მხრივ ეს არის რუსული და ქართული კულტურის დაახლოების მისასალმებელი ფაქტი, რაც არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს.

თავის დროზე გრიბოედოვის თეატრს მკაცრად მიეთითა საეჭვო, იდეური ღირსების მქონე უცხოური პიესებით ზედმეტად გატაცების გამო, და ჩვენ იმედი გვაქვს, სარეპერტუარო პოლიტიკის თვალსაზრისით დაშვებული ეს შეცდომა უჩვენა არასრულფასოვანი სპექტაკლები — მოლიერის „ტარტიუფი" და ვ. გოგოლაშვილის „ალვები". თეატრის ხელმძღვანელები ღრმად უნდა ჩაუფიქრდნენ გასულ სეზონში ჩავარდნების მიზეზს და უნდა გარდაქმნან შემოქმედებითი და ორგანიზაციული საქმიანობა.

თანაბრად წარმართა შუშობა მოზარდ მაყურებელთა რუსულმა თეატრმა. მართალია, მისი სპექტაკლები არ გამოირჩევა დიდი შემოქმედებითი აღმფრენით, მაგრამ არც შემოქმედებით ჩავარდნებთან გვქონია საქმე. ეს გარემოება სრულიადაც არ უქმნის თეატრის ხელმძღვანელობას თვითდამშვიდების საფუძველს. ჩვენ ამ თეატრისაგან მოვითხოვთ მეტ გაბედულებას, მეტ შემართებას და გატაცებას სპექტაკლების ემოციური ენერგიდობის გაძლიერების მიზნით. ის სამუალო დონე, რაც მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის სპექტაკლებს საერთოდ ახასიათებს, ვერ შეუქმნის მას დიდ ავტორიტეტს მაყურებელთა შორის. გასული სეზონის დადგმებიდან აღნიშვნის ღირსია სპექტაკლი „მაია წყნეთელი".

დამამაყოფილებელი შედეგებით დასრულეს სეზონი ბათუმის, ქუთაისის, გორის, თელავის თეატრებმა. ამ თეატრებში დადგმულმა მთელმა რიგმა სპექტაკლებმა მაყურებლის მოწონება დაიმსახურა. კერძოდ, წარმატებით დიდგა ლ. სანიკიძის „მედეა" და ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს" ქუთაისის თეატრში; სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე" ბათუმის თეატრში; „მე ვხედავ მზეს" და „ადამიანი გორის თეატრში და სხვ.

ფინანსური მაჩვენებლების გაზრდის მხრივ საგრძნობი წარმატება მოიპოვეს მახარაძის, ზუგდიდის, გორის, თელავის, ფოთის თეატრებმა. ეს თეატრები სახელმწიფო დოტაციის მიღებელად შუშობდნენ, მაგრამ ამ გარემოებამ კი არ დააქვეითა, არამედ უფრო აამაღლა მათი როგორც შემოქმედებითი, ისე ფინანსური დონე. როგორც ვხედავთ, კარგად გაზრდულ ორგანიზაციულ-მხატვრულ საქმიანობას ყოველთვის სასურველი შედეგი მოაქვს იმ თეატრებისთვისაც, რომლებიც სახელმწიფოს ფინანსური დახმარების მიუღებლად შუშობენ.

ქვეით უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი ახალგაზრდა რეჟისორული კადრები, რომლებიც რაიონულ თეატრებში შუშობენ. ამჟამად ისეთ დიდ თეატრში, როგორიც ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრია, მთავარ რეჟისორად შუშობს სრულიად ახალგაზრდა ხელოვანი გ. ჟორდანია. იგი კარგად უძღვება საქმეს და თუ დღეს ბათუმის თეატრი კვლავ ჩაგდა რესპუბლიკის მოწინავე თეატრალური კოლექტივების რიგში, ეს მისი ხელმძღვანელების და პირველ რიგში გ. ჟორდანიას სწორად გაზრდული საქმიანობის შედეგია. ნაყოფიერად შუშობს ამ თეატრის აქტიორული შემადგენლობაც. სადაც სცენის გამოცდილ ოსტატებს მხარში უდგას ნიჭიერი ახალგაზრდობა.

სოხუმის თეატრის ორივე დასს — ქართულსაც და აფხაზურსაც ახალგაზრდა რეჟისორები ლ. მირცხულავა და ნ. ეშბა ხელმძღვანელობენ. მათი შუშობაც მაღალი პროფესიულობით და ახალგაზრდული ენთუზიაზმით გამოირჩეოდა. ასევე მაღალი შეფასების ღირსია სხვა თეატრების ახალგაზრდა რეჟისორების საქმიანობა, პირველ რიგში, ქუთაისის თეატრის რეჟისორის თ. შენხის, ჭითუნის თეატრის მთავარი რეჟისორის გ. სებისკვარაძის, თელავის თეატრის მთავარი რეჟისორის გ. მაცხონაშვილისა და სხვათა საქმიანობა. ჩვენ გვჯერა, რომ ამ ახალგაზრდების სახით ქართულ თეატრს სამედო რეჟისორული კადრები ეზრდება.

ჩვენი რესპუბლიკის თეატრალური შუშაკების წინაშე განსაკუთრებით რთული და სასატანი ამოცანები დგას. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებში ლიტერატურისა და ხელოვნების შუშაკებთან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრების დროს, აგრეთვე ივნისის პლენუმის მასალებში, ნათლად არის დასახული იდეოლოგიური ფრონტის მოღვაწეთა სამოქმედო პროგრამა. ჩვენი თეატრების ვალია მაღალმხატვრულ ფორებში ასახონ ის გრანდიოზული ბრძოლა, რასაც საბჭოთა ხალხი ეწევა ბრწყინვალე მომავლის — კომუნიზმის აშენების გზაზე. ქართულმა თეატრმა თავის საუკეთესო სპექტაკლებში უნდა ასახოს გმირული შემართება ჩვენი შშრომელი ადამიანებისა, მათი თავდადება, მათი პატრიოტიზმი, უნდა ასახოს მათი ნათელი სულისკვეთება და მისწრაფებები.

მეტი მაღალიდეური და მაღალმხატვრული პიესები თანამედროვეობის თემაზე — აი ის საბრძოლო ამოცანა, რომელიც პარტიამ დააყენა მწერლებისა და თეატრის შუშაკების წინაშე. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელება ჩვენი სახელოვანი თეატრალური ინტელიგენციის წმიდათაწმიდა ვალია.

კომუნისტი
№ 2 გვერდი. სამშაბათი,
17 სექტემბერი, 1963 წ.

მეზობლისაგან რომ ესწავლათ, მაშინ...

არ უნდა მივუკვდეს ავტორი ჩამორჩენილი მეურნეობა!

დამაფიქრებელი კონტრასტები

კოლხიდის შავნიადაგიან მიწაზე რა არ ხარობს. აქ ნახავთ ციტრუსებს, დაფნას, ხილს, ვენახს, სიმინდს, ჩაის, მაგრამ მხოლოდ იქ, სადაც რაციონალურად, გონივრულად გამოიყენეს კოლხიდმშენის მიერ დაშრობილი მიწები.

სამწუხაროდ, ბევრ ადგილას ასე არ არის. იმავე მიწებზე ჩამორჩენილ, სუსტძალოვან მეურნეობებს შეხვდებით. მათი ხელმძღვანელები კი წუწუნებენ, ჩივიან, დაბალი ზონიდან ვართ, ჭარბმა ნესტმა მოსავალი გაგვიფუჭაო. მართალია, კოლხიდაში ხშირი წვიმები იცის. ჭარბი ნესტი გავლენას ახდენს მოსავლის მიღებაზე. მაგრამ როგორ გახდნენ ამ ზონის მოწინავე კოლმეურნეობები და მეურნეობები ძლავრი, რენტაბელური?

ტეხურის საბჭოთა მეურნეობას კოლხიდმშენის ამოშრობილი მიწების 1.200 ჰექტარი უჭირავს. აქედან 720 ჰექტარი ათვისებულია. ადრე ეს იყო ერთ-ერთი ჩამორჩენილი მეურნეობა ცხაკაიას რაიონში. 1932 წლიდან რამის მოშენებას მისდევდნენ. მეურნეობის სუსტი ხელმძღვანელები არ ფიქრობდნენ, რომ რამის კულტურასთან ერთად სხვა კულტურაც განვითარებინათ. 1941 წლიდან, რამის მეურნეობის ლიკვიდაციის შემდეგ, ჩამოყალიბდა ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა. მაგრამ არც მაშინ მიეცა გასაქანი მეურნეობას, ფინანსურ გაჭირვებას განიცდიდა და ერთობ ვალებში იყო. 1946 წელს მეურნეობის ხელმძღვანელობა დროებით დაეკავა ამავე მეურნეობის მთავარ ბუხგალტერს დ. შამათავას. იგი სიძნელეებს არ შეუშინდა. მტკიცედ მოჰკიდა ხელი მეურნეობის გაძღოლას. „დროებითმა" დირექტორმა მთავარი ყურადღება მიაქცია ამ ნიადაგებისათვის შესაფერი კულტურების გაშენებას. გაშენდა ხურმა, ფეიხოა, ციტრუსები, ვენახი, კაკალი, თხილი, დაფნა, ბამბუკი. ხელი მიჰყვეს სანერგე მეურნეობის განვითარებას. აქ გამოყენილმა წიწვიანმა და ფოთლოვანმა მცენარეებმა დაამშვენა თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, წყალტუბოს ქუჩები და გაზონები. მეურნეობა ფინანსურად ღონიერდებოდა...

ახლადათვისებულ მიწებზე დაიწყეს დაფნის გაშენება, რომელიც კარგად შეეგუა კოლხიდის დაბლობს. ახლა ამ კულტურას 210 ჰექტარი უჭირავს. აქედან 32 ჰექტარი პლანტაცია მოსავლიანია. 1962 წელს მეურნეობამ სახელმწიფოს 120 ცენტნერი დაფნა მიჰყიდა და 110 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო.

ყოველწლიურად ზარალით დაგემილმა მეურნეობამ 60 ათასი მანეთი ვალი გაისტუმრა. შარშან 17 ათასი მანეთის ნაცვლად მეურნეობის მოგებამ 24 ათას მანეთს გადაამტა. წელს მეურნეობა დაგეგმილია 58 ათასი მანეთის მოგებით. 8 თვის მონაცემებით მიღებულია 60 ათას მანეთზე მეტი მოგება. წლის ბოლოსათვის იგი 80 ათას მანეთს გადაჯარბებს.

ასე გახდა ჩამორჩენილი მეურნეობა ძლავრი და რენტაბელური.

ხომ შეიძლებოდა ასეთი მზრუნველობა გამოეჩინათ მეურნეობის მეზობლად მდებარე ზემო ჭალადიდის, ახალსოფლის, ზესფის, თაკალათის ჯაჯვაკაძისა და კალინინის სახელობის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, რომლებიც წუწუნს ყრიან მიჩვეულნი და ვალებიდან ვერ ამოსულან. ხუთივე ამ კოლმეურნეობას 670 ათას მანეთზე მეტი ვალი აქვს. შრომადღეზეც ძალიან მცირე მარცვალს ირიგებენ.

— თქვენს მეზობლად მდებარე კოლმეურნეობები ვალიდან ვერ ამოსულან და მცირე მოსავალსაც იღებენ. როგორ დაადგინეთ თავი ჩამორჩენას? რამ განაპირობა მეურნეობის წარმატება?

ამ კითხვაზე მეურნეობის დირექტორმა ამბ. დ. შამათავამ გვიპასუხა:

— მთავარია გამარჯვების რწმენა. თუ მეურნეობას ზენრელად უხელმძღვანელებ, მეტ დროს უაზროდ სიარულს მოანდომებ, დედინაცვალივით მოეპყრობა მას, შედეგიც არ იქნება კარგი. ჩემს მეზობლებსაც შეეძლოთ მიღწევები ჰქონოდათ, დავალიანებებიდან თავი დაეღწიათ. მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, მარტო სამინდოს და რეკანის კულტურას ჩაჰკირკიტებენ. ამ დალოცვილ მიწაზე რა გინდა რომ არ ხარობდეს. ბევრი ფიქრობს, თითქოს ჩვენი მეურნეობა ჩამორჩენისაგან დაფნის კულტურამ იხსნა, თუმცა ჩვენს მეზობლებსაც ჰქონდათ მისი გაშენების შესაძლებლობა. მაგრამ ეს ასე არ არის. გვაქვს ვაშლის, მსხლის, ქლიავის 10 ჰექტარი ნარგავი. აქედან 5 ჰექტარი ექსპლოატაციაში შევიდა. 5 ჰექტარ აკაციის ხეივანში 120 ოჯახი ფუტკარია, რაც აგრეთვე დიდ მოსავალს გვაძლევს. 40 ჰექტარზე გავაშენეთ თხილი, რომელმაც კარგად იხარა. წელს მიგვიღია პირველი მოსავალი. ეხლა ბევრს წლებში მარტო თხილით 300 ათას მანეთზე შემოსავალს მივიღებთ. 30 ათასი ძირი ტყემალი დავრგეთ, რაც 2-3 წელიწადში 100 ათას მანეთზე შემოსავალს მოგვცემს. მის ნარგავებს 50 ათასამდე გავზრდით, ტყემალი შრომატევადი არ არის, მოსავალი კი კარგი იცის. როგორც ხედავთ, მოწყალეზას ზემოდან როდი ველოდებით და შედეგს თქვენ თვითონ ხედავთ.

თეკლათის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა ტეხურის საბჭოთა მეურნეობის მეზობლად მდებარეობს. იგივე მიწა, იგივე პირობები, შედეგი კი სხვაა.

აქ წამყვანი დარგი სიმინდია. მას ყოველწლიურად 380 ჰექტარზე თესავენ სამარცვლედ. მაგრამ წლობით მცირე მოსავალს იღებენ.

— ჩვენი მიწები შავნიადაგიანია. ოდნავი წვიმაც საკმარისია, რომ მუშაობა შეფერხდეს. არხების უმრავლესობა ამოივსო. ამოსაწმენდად საჭირო მექანიზაციის საშუალებები არ გაგვაჩნია. კოლხიდმშენიდან გამოგზავნეს ერთი ექსკავატორი, რომელმაც გოლასკურის უბანში ამოწმინდა არხები. შემდეგ კი მიატოვეს სამუშაო. იმ ფართობებში გაცილებით უკეთესი მოსავალი მივიღეთ, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ძველაია.

კოლხიდმშენი, რომ ამოშრობილი ფართობების არხების გაწმენდას არ აწარმოებს და ამით ნიადაგი ისევ ჭაობდება, ეს უკვე ცნობილია. მაგრამ დოინჯშემოკრული ყურება საქმეს არ შველის. არ ჩანს მონდომება და საქმის სიყვარული. ამის შედეგია ის, რომ აქ შემოსავლის ძირითად წყაროს — სიმინდის მოსავალს მცირეს იღებენ. მაგალითად, 1960 წელს გეგმით გათვალისწინებული 24 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე მიიღეს 20,4 ცენტნერი მარცვალი, 1961 წელს — 10,4, ხოლო 1962 წელს 15,2 ცენტნერი. წელადობამაც იკლო. თუ 1960 წელს თითო სოფურაჟე ძრობაზე მიიღეს 1.174 ლიტრი რძე, 1961 წელს — 806, 1962 წელს კი მხოლოდ 769 ლიტრი.

კოლმეურნეობაში ყურადღება არ ექცევა ისეთი რენტაბელური კულტურების გაშენებას, როგორიც არის დაფნა, ხილი, თხილი. არ ავითარებენ მეფუტკრეობას და სხვ. ცხადია, ასეთ შემთხვევაში კოლმეურნეობა წლების განმავლობაში ჩამორჩენილ თავს ვერ აღწევს. პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ბ. ჯორბენაძე) რატომღაც ეგუება ასეთ ჩამორჩენას.

კოლხიდის ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა უნდა ისწავლონ მეურნეობის სწორი გაძღოლა.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

პარტიული ქრონიკა

რა უნდა იცოდეს პარტორგანიზაციის მდივანმა?

ამ კითხვაზე შეგიძლიათ ნათელი და ამომწურავი პასუხი მიიღოთ „პარტიული ორგანიზაციის მდივნის კაბინეტში", რომელიც პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორკომიტეტის რაიკომში შეიქმნა. ვრცელ, კეთილმოწყობილ ოთახში, რომელიც კაბინეტს აქვს დათმობილი, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, ბიუროების წევრები ეცნობიან პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოვალეობას, ფუნქციებს, ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებს.

„პარტიული ორგანიზაციის მდივნის კაბინეტი", რომელსაც რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ტ. ყანჩაველი ხელმძღვანელობს, სერიოზულ დახმარებას უწევს პარტიული ორგანიზაციების მდივნებს პარტიული მუშაობის დაუფლებისა და სრულყოფის საქმეში.

პროპაგანდისტთა კურსები

მუშაობა დაამთავრა პროპაგანდისტთა გადასამზადებელმა ხუთდღიანმა კურსებმა, რომელიც საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა თელავის სამრეწველო და სასოფლო პარტიული კომიტეტების პოლიტიკური განათლების კაბინეტთან მოაწყო. კურსებზე გადამზადებულ იქნა თელავის, სიღნაღის, გურჯაანისა და ყვარლის რაიონების 90-მდე პროპაგანდისტი.

კურსებზე წაკითხულ იქნა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თეორიული და მეთოდური ხასიათის ლექციები, მოეწყო გასაუბრებანი პროპაგანდისტული შუშობის საკითხებზე. მოწინავე პროპაგანდისტებმა მსმენელებს უამბეს თავიანთი შუშობის გამოცდილებაზე.

კურსებზე პარტიული კომიტეტების შუშაკების გარდა ლექციები წაიკითხეს თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა ნ. ქორთუამ, ნ. მალუქმ, გ. ბაბავამ, შ. გოგიაშვილმა, ლ. დეისაძემ, რ. შარაშენიძემ.

კურსების მსმენელთათვის მოეწყო ექსკურსიები თელავის ღორწმესანინმობათა გასაცნობად.

მ. ფიკლაური.

„ხე-ტყეს ელოდებიან მეავეჯეები"

ამ სათაურით „კომუნისტში" (№ 212) დაბეჭდილ წერილში გაკრიტიკებული იყო საჩხერის ხე-ტყის დამზადების ბაზის შუშობა არსებული ნაკლოვანებანი. წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ა. მარჯანიშვილი რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში" მოთავსებულ წერილში სათაურით „ხე-ტყეს ელოდებიან მეავეჯეები" მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

საჩხერის ხე-ტყის დამზადების ბაზის მუშობა, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს თხოვნით, შესწავლილ იქნა ადგილზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ცენტრალური ეკონომიური ბიუროს მიერ და დასახულია სათანადო ღონისძიებები.

მექანიზმების ცუდი გამოყენებისათვის, მათ მოვლა-პატრონობაში უყურადღებობის გამოჩენისათვის, ჩამოწერის მიზნით რვა ავტომანქანის გარბენის ხელოვნურად გადიდებისათვის და ავტოტრანსპორტზე მოშუშავეთა შორის საწარმოო და შრომის დაბალი დისციპლინისათვის, რამაც ხელი შეუშალა ხე-ტყის გამოზიდვის გეგმის შესრულებას, ტრანსპორტის უფროსი ამხ. ქაბუშაძე მოხსნილ იქნა სამუშაოდან.

დამზადების ბაზის დირექტორს ამხ. მალრაძეს დაევალა შესაკეთებელი ქანქანა-მექანიზმები დაუყოვნებლივ შეაკეთოს, ხოლო საქმე იმ მანქანა-მექანიზმების ვადაზე ადრე მწყობრიდან გამოსვლის შესახებ, რომლებიც ბაზას ერიცხება და ფაქტიურად არასამუშაო მდგომარეობაშია და ამავე დროს არც ჩამორერას ექვემდებარება, გადაეცეს პროკურატურას დამნაშავის პასუხისგებაში მისაცემად.

საჩხერის ხე-ტყის დამზადების ბაზის მუშების ჭიათურის მარგანეცრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებაზე მიმაგრების საკითხი დასმულია სათანადო ორგანოების წინაშე.

„ოთხი მგზავრისა და ერთი ადგილის ამბავი"

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 16 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი სათაურით „ოთხი მგზავრისა და ერთი ადგილის ამბავი", რომელშიც მოყვანილი იყო თბილის-ბათუმის მატარებელზე ერთ ადგილზე ოთხი ბილეთის გაყიდვის ფაქტი. როგორც ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საჩივართა ბიუროს უფროსი შბრეხელიძე გვატყობინებს, დამნაშავეს—ქ. რუსთავის რკინიგზის საქალაქო სადგურის სებილეთო სალაროს მოლარეს ო. მაწუკაძეს, გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

„ კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

დიდი სიმპოზიუმი

მათემატიკოსთა საერთაშორისო ფორუმისათვის

ბანქაანური მათემატიკის დიდმა წარმატებებმა, რომელთა მოწმენიც ამ ბოლო ხანებში ვართ, საბოლოოდ განამტკიცა რწმენა, რომ მათემატიკური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა როგორც მეცნიერების, ისე ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფეროში არსებითად უსაზღვროა.

აქედან ცხადია, რომ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატება მეტად ან ნაკლებად დამოკიდებული მათემატიკის განვითარების დონეზე. ეს უკანასკნელი კი ჩვენს დროში გადაიქცა კოლექტიურ საქმედ. მსგავსად სხვა მეცნიერებისა, ამჟამად მათემატიკაშიც მიმდინარეობს ძლიერი მათემატიკური კოლექტივების ორგანიზაციის პროცესი როგორც ჩვენს ქვეყნაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეს კოლექტივები მუშაობენ არა ცალკეული წევრის სურვილისა და ნების მიხედვით, არამედ ერთმანეთთან შეთანხმებული და საერთო გეგმის მიხედვით, რომელიც მეცნიერების წინაშე მდგომი სათანადო პრობლემის ამოხსნისაკენ არის გამიზნული.

ასეთ პირობებში რაგინდ დიდი შემოქმედებითი უნარიც უნდა გააჩნდეს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეს, მისი საქმიანობა შესაძლოა სრულიად უნაყოფო აღმოჩნდეს, თუ იგი არ არის დაკავშირებული რომელიმე სამეცნიერო კოლექტივთან, თუ იგი არ იმყოფება თანამშრომელთა და მიმდევართა წრეში.

ცალკეული სამეცნიერო კოლექტივის სახელით ოპერისა და ბალეტის თეატრი, რომლის წარმოდგენებს რამდენიმე ათეული ათასი მაყურებელი დაესწრო.

ორმხრივი საგასტროლო მოგზაურობის დიდი წარმატება ნათელი გამოხატულება იყო ერთი მხრივ ამ კოლექტივების მაღალი შემოქმედებითი დონისა და მეორე მხრივ ეს იყო ბრწყინვალე დადასტურება ამერიკაკავკასიის ხალხთა ძმური თანამეგობრობისა. ეს იყო პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი, რომელმაც ერთხელ კიდევ ნათელყო მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის ის უარეყვი გრძნობა, რაც დღითიდღე უფრო და უფრო მტკიცდება და მაღლდება.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინაშე მწვავედ დგას რეპერტუარ

საერთაშორისო
დეკენელი ცნობიერი ეროვნული
ცხოვრება

ახალი ნაბიჯი წინ

ნიკოზია, 15 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა.ზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის აღმასკომის სესიაზე მირზო თურსუნ-ზადემ ნიკოზიიდან საბჭოთა დელეგაციის გამგზავრების წინ განცხადება გაკეთა პრესისათვის. ამ განცხადებაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სესია იყო „ახალი ნაბიჯი წინ აზიისა და აფრიკის ხალხთა ბრძოლაში კოლონიური ბატონობის სრული ლიკვიდაციისა და ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. დოკუმენტები, რომლებიც მიიღო აღმასკომის სესიამ ნიკოზიაში, უეჭველია, გააძლიერებენ აფრიკა-აზიის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობასა და მის საბრძოლო ხასიათს, ახალ ძალებს შემატებენ ბრძოლას კოლონიურ მონობაში მყოფ ხალხთა განთავისუფლებისათვის. კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ სესიამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ. ამ სესიამ აშკარად ჩაფუშა იმათი იმედი, ვინც თავისი მოქმედებით ცდილობდა გაეთიშა ჩვენი მოძძრაობა. სამწუხაროდ, პოზიცია, რომელიც ჩინეთის დელეგაციამ დაიკავა დიდმნიშვნელოვან საკითხებში, არ შეესაბამებოდა ჩვენი დროის სულისკვეთებას. ნიკოზიაში თავისი ჩამოსვლის დღეს ჩინეთის

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის განცხადება

დელეგაციამ გააკეთა განცხადება, რომლის მიზანი იყო არა იმდენად ის, რომ გაერთიანებულიყო ჩვენი ღონისძიებანი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ის, რომ გაეცვალებინათ უთანხმოებანი. ჩინეთის დელეგაციის ასეთმა მოქმედებამ მნიშვნელოვანი სიძნელეები შექმნა სესიის მუშაობაში. მაშინაც კი, როცა ნიკოზიიდან მიემგზავრებოდა, ჩინეთის დელეგაცია კვლავ შეეცადა დაემახინჯებინა სესიის მუშაობის ნამდვილი სტრათი და ერთხელ კიდევ დაეწამა ცალი საბჭოთა დელეგაციისათვის. ჩვენ არ ვაპირებთ ვუპასუხოთ ყველა ცილისწამებლურ მონაჭორს, რომლებსაც ჩინეთის დელეგაცია. მომართავდა სესიის დროს და მისი დამთავრების შემდეგ. მაგრამ მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ ულირსი ცილისწამების წინააღმდეგ, რასაც ჩინეთის დელეგაცია ავრცელებდა ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის მიმართ. ყველას, ვინც აღმასკომის სესიის მუშაობას აღევნებდა თვალს, შეუძლია დარწმუნდეს, რომ საბჭოთა დელეგაცია თანამიმდევრულად იცავდა აფრიკა-აზიის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობის ინტერესებსა და პრინციპებს, მტკიცედ უმკრდა მხარს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ".

ჩავფუფუთთ დე გოლის გეგმა

— მოითხოვენ ფრანგი კომუნისტები

პარიზი, 14 სექტემბერი. (საკდესი). ეკონომიური და ფინანსური ღონისძიებანი, რომლებიც დე გოლმა და მისმა მინისტრებმა შეიმუშავეს, მიზნად ისახავენ ხელფასის მომატების გაუქმებას, რაც ბრძოლით მოიპოვეს მშრომელებმა. ეს მიზნად ისახავს მონოპოლიათა მოგების გადიდებას, და ატომური დამკვრელი ძალის დაფინანსებას, ნათქვამია საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

განცხადებაში მხილებულია მთავრობის მტკიცება იმის შესახებ, რომ საფრანგეთში შექმნილი ეკონომიური სიძნელის მიზეზი თითქოს არის ხელფასის მეტისმეტი მომატება. ამის მიზეზი, აღნიშნავენ განცხადების ავტორები, არის დე გოლის რეჟიმის საერთო პოლიტიკა, რომელიც ეროვნული ბიუჯეტის დაახლოებით ერთ მესამედს უსარგებლოდ ხარჯავს, უზნარეს ყოველსა ატომური დამკვრელი ძალის შექმნაზე.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურო მოითხოვს „ჩაფუშონ დე გოლის გეგმა, დაუპირისპირონ მას აყვავების, დემოკრატიისა და მშვიდობის საერთო გეგმა".

ფედერაცია გამოაცხადეს

ლონდონი, 16 სექტემბერი. (საკდესი). მალაიის პრემიერ-მინისტრმა აბდულ რაჰმანმა გამოაცხადა გუშინ მალაიზიის ფედერაციის შექმნა. ამას იუწყება რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ყუალალუმპურიდან.

ფედერაციის შემადგენლობაში არიან მალაია, სინგაპური, ავრეთვე ინგლისის კოლონიური სამფლობელოები ჩრდილოეთ ბორნეო და სარავაკი.

მალაიზიის ფედერაციის შექმნას გმობენ აზიის ხალხები, რომლებსაც იგი მიჩნეთ ინგლისელ კოლონიზატორთა მისწრაფებად პოზიციები შეინარჩუნონ ამ რაიონში. მტკიცე პროტესტი ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ განაცხადეს ინდონეზიამ და ფილიპინებმა.

დახმარება მოძმე კუბას

ჰავანა, 15 სექტემბერი. (საკდესი). აქ ხელი მოაწერეს კონტრაქტს საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციამ „ტრაქტორექსპორტმა" და კუბის ორგანიზაციამ „ტრაქტორიმპორტმა". ამ კონტრაქტის შესაბამისად საბჭოთა კავშირი კუბას მიაწვდის შაქრის ლერწმის დასატვირთ მანქანებს, რომლებიც სპეციალურად შექმნილია სსრ კავშირში კუბის პირობებში სამუშაოდ.

ამჟამად სსრ კავშირის კონსტრუქტორთა დიდი კოლექტივი მუშაობს კუბისათვის შაქრის ლერწმის ასაღები და დასატვირთი კომბაინის შექმნაზე. კუბისათვის დასატვირთი მანქანების მიწოდება და ის, რომ, სსრ კავშირში შეიქმნა შაქრის ლერწმის ასაღები და დასატვირთი კომბაინი კუბელი ხალხისადმი საბჭოთა ხალხის უანგარო ძმური დახმარების მაგალითია.

ჰავანის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე დაბეჭდა ამ კონტრაქტის ხელმოწერის დაწვრილებითი ანგარიში.

გენერალური ასამბლეის XVIII სესიაზე

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ა. გრომიკოს-ი. დელეგაციის მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიაში.

ა. ა. გრომიკოსთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის დელეგაციის წევრები: ვ. ს. სემონოვი, ძ. ა. მენშიკოვი, ს. ა. აზიმოვი, დელეგაციის წევრთა მოადგილეები და დელეგაციის მრჩეველები. ნიუ-იორკის აეროპორტში დელეგაციის შეხვედნენ სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში „ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი.

ამავე თვითმფრინავით ჩამოვიდნენ უკრაინის სსრ დელეგაცია ლ. თ. პალამარჩუკის მეთაურობით და ბელორუსის სსრ დელეგაცია კ. ვ. კისელიოვის მეთაურობით.

საბჭოთა ფილმების დიდი წარმატება

ერთი კვირის განმავლობაში სფრანგეთის ატლანტიკის სანაპიროზე საკურორტო ქალაქ დოვილში მიმდინარეობდა საავიაციო და კოსმოსური ფილმების პირველი საერთაშორისო კინოფესტივალი. საბჭოთა ფილმებმა „მათ ეძორჩილებათ ცა", „ვარსკვლაველი ძმები", „მძლავრი ფრთები" თითოეულმა თავის კატეგორიაში მიიღო ფესტივალის უმაღლესი ჯილდო — „ოქროს ფრთის" პრიზი. საბჭოთა სატელევიზიო ფილმს „ფრთოსანი თანამშემწეები" წილად ხვდა ფესტივალის მეორე ჯილდო — „ვერცხლის ფრთის" პრიზი. გარდა ამისა, საბჭოთა მულტიპლიკაციური ფილმი „ძაბა კოსმოსში" დაჯილდოებულია ქალაქ დოვილის მუნიციპალიტეტის სპეციალური პრიზით. სპეციალური სამეცნიერო პრემია მიენიჭა საბჭოთა კავშირს ფილმისათვის „ვარსკვლაველი ძმები" და შეერთებულ შტატებს ფილმისათვის „კოსმოსის ოსტატები". საბჭოთა დელეგაციას ფილმისათვის „ვარსკვლაველი ძმები" გადაეცა ცის სფერო, რომელიც ხისგან პორტუგალიელმა ოსტატებმა დაამზადეს მე-18 საუკუნის დამდეგს.

„საბჭოთა კავშირმა ფესტივალზე სენსაციური წარმატება მოიპოვა, — განაცხადა ფესტივალის კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ჟილბერ სალომონმა.— საბჭოთა ფილმები შესანიშნავი იყო". (საკდესი).



ცეილონზე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობის წინ კოლომბოში გაიმართა ახალგაზრდობის დემონსტრაცია ნიშნად პროტესტისა სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის დეგნის წინააღმდეგ, რაც ამერიკელთა დახმარებით წარმოებს.

სურათზე: დემონსტრაცია ცეილონზე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობის წინ.

საკდესის ფოტოკრონიკა.

სხვადასხვა მერიდიანზე

□ **პოლონეთის** სახალხო რესპუბლიკამ გამოუშვა სამი ახალი მარკა, რომლებიც მიეძღვნა ვ. ტერეშკოვასა და ვ. ბიკოვსკის ჯგუფურ კოსმოსურ ფრენას. მარკებზე გამოსახულია — საბჭოთა კოსმონავტების პორტრეტები და კოსმოსური ხომალდები — „ალმოსავლეთი-5" და „ალმოსავლეთი-6". მარკები გამოშვებულია 11 მილიონ ცალად.

□ **ინგლისის** საზოგადოებრიობა განაგრძობს პროტესტს ატომური განიარაღების მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ჯორჯ კლარკის დაპატიმრების წინააღმდეგ. ინგლისელმა მშვიდობისათვის მებრძოლებმა დაიწყეს საპყრობილის ჭიშკრის 60 საათის განუწყვეტელი პიკეტირება, სადაც იმყოფება კლარკი.

□ **ჰელსინკიში** გაიხსნა დიდი საერთაშორისო გამოფენა, რომელიც ეძღვნება ზღვაოსნობასა და გემთმშენებლობას. გამოფენაში მონაწილეობენ 27 ქვეყნის ფირმები და ორგანიზაციები.

□ **14 სექტემბერს** 600 ათასამდე პატარა ეგვიპტელმა მოქალაქემ პირველად შეალო სკოლის კარები. რევოლუციის შემდეგ თერმეტ წლის მანძილზე არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ არაერთ წარმატებას მიაღწია სახალხო განთლების დარგში. მოსწავლეთა რაოდენობა ერთი-ორად გაიზარდა, გაუქმებულია სწავლის ქირა. მიუხედავად ამისა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ყველა ბავშვს როდი აქვს საშუალება ისწავლოს. შემუშავებულია გეგმა, რომლის მიხედვითაც 1970 წლისათვის დაწყებით სკოლაში ისწავლის სასკოლო ასაკს მიღწეული ყველა ბავშვი.

□ **ჩადის** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გამოსცა დეკრეტი, რომელიც კრძალავს, რომ მის ტერიტორიაზე იფრინონ და აეროდრომებზე დაეშვან პორტუგალიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თვითმფრინავები. ეს აკრძალვა ვრცელდება ავრეთვე უცხოთის ყველა თვითმფრინავზე, რომლებიც პორტუგალიაში თუ სამხრეთ აფრიკაში მიფრინავენ, ან ბრუნდებიან იქიდან. (საკდესი).

ნაცისტი მკვლელების დაპატიმრება

ბონი, 14 სექტემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში დააპატიმრეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის პოლიციის მეთერი რეგი თანამშრომლები, რომლებიც 1941-1942 წლებში მონაწილეობას იღებდნენ მრავალი ათასი მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქისა და საბჭოთა სამხედრო ტყვეების დახოცვაში. სდ-ს ჰიტლერული პოლიციის ყოფილი ოფიცრები დამნაშავენი არიან პინსკის გეტოს 30.000 ტუსაღის მოსპობაში 1942 წლის ზაფხულში. ისინი მონაწილეობას იღებდნენ ავრეთვე ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებთა დახოცვაში, სადაც დახვრიტეს 500 კაცი. ამ დამნაშავეებმა დახოცეს 6.000 საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი ტირასპოლის ახლოს მდებარე სამხედრო ტყვეების ბანაკიდან.

დპა-ს საგენტო ასახელებს ზოგიერთი ნაცისტი მკვლელის სახელს, რომლებიც უკანასკნელ დრომდე მსახურობდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიციაში, ესენი არიან: იოზეფ კური, რუდოლფ ეკერტი, გიუნტერ ვალცი, ჰაინრიხ პლანდიუსი (ყველა ყოფილი 306-ე პოლიციის ბატალიონიდან), ავრეთვე ტელეი და ჰოფმანი, ოტო შოლი და გეორგ კრაუტვურსტი.

ბონი, 16 სექტემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის მილიტარისტულმა ორგანიზაციამ „ფოლადის მუზარადმა" მოითხოვა ჰიტლერელ დამნაშავეთა რეაბილიტაცია. რეზოლუცია, რომელიც ამ ორგანიზაციის მორიგმა თავყრილობამ მიიღო, შეიცავს თავხედურ მოთხოვნას, რომ გამოცხადდეს „გენერალური ამნისტია და შეწყდეს სამხედრო დამნაშავეთა პროცესები".

თავხედური მოთხოვნა

როგორც ცნობილია, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დღემდე მშვიდად ცხოვრობს ბევრი ნაცისტი, რომელმაც ომის წლებში მძიმე დანაშაული ჩადინა და ბრალი ედება ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის დახოცვაში. ყოფილი ჰიტლერელები მუშაობენ დასავლეთ გერმანიის იუსტიციისა და პოლიციის ორგანოებში. კონსტიტუციის დაცვის უწყებაში ხელმძღვანელი პოსტები უკავიათ გესტაპოს, სს-ის და სდ-ის ყოფილ მოსამსახურეებს.

დასავლეთ გერმანიაში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის ხმები, რომლებიც მოითხოვენ „ამნისტიის" დანაშაული ნაცისტ მტარვალებს. და შემთხვევითი როდია, რომ მილიტარისტულმა ორგანიზაციამ „ფოლადის მუზარადმა" აშკარად მოითხოვა ფაშისტ დამნაშავეთა „გენერალური ამნისტია".

კომუნისტი
მე-8 გვერდი, სამშაბათი,
17 სექტემბერი, 1963 წ.

საერთაშორისო
ეროვნული
ცხოვრება

გემი „თეოდორე პოლეტაევი"

ბონუა, 15 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა ნავთობსასხმელი გემის „თეოდორე პოლეტაევის" წყალში ჩაშვების ცერემონია. ეს გემი საბჭოთა კავშირის შეკვეთით აშენდა გემთსაშენებლის „ანსალდოში".

ცერემონიაზე მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა იტალიაში სსრ კავშირის საელჩოს პირველმა მრჩეველმა ა. ხ. პასიუტინმა. მან გულთბილი მადლობა გადაუხადა გემთსაშენებლის მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებმაც სანიმუშოდ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება — სსრ კავშირის საჭაჭრო ფლოტისათვის დიდი გემის აგება.

თეოდორე პოლეტაევი, თქვა ა. ხ. პასიუტინმა, იბრძოდა აქ, ლიგურიის მთებში, გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ და სიცოცხლე შესწირა იტალიისა და საბჭოთა კავშირის ხალხების თავისუფლებას. ამაოდ როდი დაიდვარა მისი სისხლი, ათი ათასობით მებრძოლთა სისხლი, რომლებიც საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლებში დაეცნენ. პოლეტაევის სახელი, რომელსაც ატარებს იტალიელი მუშების ხელით აგებული საბჭოთა გემი, საბჭოთა და იტალიელი ხალხების მზარდი მეგობრობის მკაფიო სიმბოლო იქნება.

ქურთები არ ნებდებიან

პარიზი, 16 სექტემბერი. (საკდესი). ქურთთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჯალალ ათ-თალაბანინ უარყო გუშინ ცნობა იმის შესახებ, რომ ქურთებს სურთ შექმნან ქურთთა დამოუკიდებელი სახელმწიფო, იუწყება ფრანს პრესის საგენტო.

ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე მიმავალმა ათ-თალაბანინმა პარიზში ჩამოსვლისას განაცხადა, რომ ეს ცნობები გაავრცელა ერაყის მთავრობამ, რომელიც ბრალს გვდებს სეპარატიზმში და სახელს გვიტეხს არაბეთის საზოგადოებრივი აზრისა და მეზობელი ქვეყნების წინაშე.

ათ-თალაბანინმ დაგმო ინგლისის დახმარება ერაყისადმი და თქვა: „ახლა ნათელია, რომ ინგლისელები სპეციალურ აღჭურვილობას აწვდიდნენ ერაყს მთის ადგილებში ბრძოლებისათვის, განსაკუთრებით თვითმფრინავებსა და მსუბუქ ტანკებს". მან გამოთქვა იმედი, რომ ქურთთა საკითხს წამოაყენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ სესიაზე.

ათ-თალაბანინმ შემდეგ თქვა, რომ ქურთების ხელშეა ქურთთა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაშინ როცა მთავრობის ჯარებს უკავიათ მხოლოდ რამდენიმე დიდი ქალაქი.

შეწყდეს აგრესია

ბანგი, 15 სექტემბერი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ხუინ ბიუ თხრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიის თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც დაბეჯითებით მოუწოდებს გენერალურ ასამბლეას ყურადღება მიაქციოს სამხრეთ ვიეტნამში შექმნილ საშიშ მდგომარეობას. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

წერილში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ აგრესიული „გამოუცხადებელი" ომი, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აწარმოებს იმ მიზნით, რომ ჩაახშოს სამხრეთ ვიეტნამის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, კვლავ ფართოვდება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის უშიშროებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონსა და მთელ მსოფლიობა.

წერილში გამოთქმულია სამხრეთ ვიეტნამის 14 მილიონიანი მოსახლეობის სურვილი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ განახორციელოს სასწრაფო ღონისძიებანი, რათა აიძულოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა შეწყვიტოს აგრესიული ომი, რაც პირობებს შეუქმნის სამხრეთ ვიეტნამის ხალხს აშენოს მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრება.

აჰმედ ბენ ბელა არჩეულია პრეზიდენტად

ალჟირი, 16 სექტემბერი. (საკდესი). აჰმედ ბენ ბელა არჩეულია ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად.

ოფიციალური წრეებიდან მიღებული წინასწარი მონაცემებით, ალჟირის რესპუბლიკის 15 დეპარტამენტში კენჭისყრაში მონაწილეობდა 5.570.001 კაცი. ბენ ბელას პრეზიდენტად არჩევას ხმა მისცა უმეტესობამ — 5.548.704 კაცმა, რაც საშუალოდ 99,62 პროცენტს შეადგენს. ზოგიერთ დეპარტამენტში, მაგალითად, ბატნისა და მოსტაგანების დეპარტამენტებში ამომრჩეველთა რიცხვმა, რომლებმაც ხმა მისცეს ბენ ბელას კანდიდატურას, მიაღწია 99,98 პროცენტს.

ადგილობრივ პოლიტიკურ და ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, რომ ბენ ბელასთვის ჩამოსვლა ნამდვილი ზეიმი იყო. ალჟირელ ხალხს ეს ეგონა, ალჟირელ ხალხს ეს ეგონა, ალჟირელ ხალხს ეს ეგონა,

ამბავი ერთი ქალიშვილისა

ᲖᲣᲐᲓᲦᲘᲡ მზეს ისე გაუბურებია ასფალტი, ნაქუსლარები საკენკივით მოფანტულან ირგვლივ. ჩემდაუნებურად ვიწყებ თვლას და ვცდილობ აკვიატებული აზრი უკუვაგდო. ასე მგონია ვიღაც მომყვება თან და ჩემში გაიძახის — „მიყვარს ეს მიწა“, „მიყვარს“...

ვითვლი ნაკვალევს და თან იმ გოგოს თვალები მომყვებიან, ახლახანს რომ გამოვემშვიდობე. მომყვებიან და მიამბობენ, როგორ უნდა გიყვარდეს ეს მზე, ეს ქუჩები, ეს ძალიან ნაცნობი ცა, რომელიც გაუცვეთელი თავსაფარივით ახურავს ჩემს მიწას.

ვითვლი ნაკვალევს და იმ გოგოს სახელს ვიმეორებ: ნელი! საოცრად ლამაზი თვალები აქვს, ლამაზი, მართალი და ჭკვიანი თვალები. ამ თვალებს ვერასოდეს ვერ ეტყვი სიცრუეს. ისინი მეგობრულად და მჩიარულად შემოგაცქერიან, და მე ვიცი, რომ აი ამ ათას ნაკვალევში, რომლებსაც ასე ჯიუტად ჩავჩერებივარ, იმ ადამიანების ნაბიჯებსაც ვარჩევ, რომლებმაც ნელის ეს მხიარული ღიმილი აჩუქეს.

ამ ფიქრებით ვუბრუნდები ნათელ ოთახს სანაპიროზე, სადაც ზოგჯერ თითქოს ხმაურით დაუხლტება თავაშვებულ მტაკვარი ქუჩაში მოსრიალე მანქანებს და თავის ხმას აწვდენს სანაპიროს გახსნერივ აღმართულ ახალ შენობებს. ასობით დიდი თუ პატარა შენაკადი იყრის თავს ამ ადიდებულ მდინარეში, ისინი თითქოს თავიანთ ძალას, თავიანთ ენერგიას გადასცემენ. ისიც მოდის და ბოლოვლავს, ზაფხულის წვიმები მოაქვს თან და დაუდგრომელ გულისძგერას ვერ იოკებს. ვუყურებ ნელის, იგი იდაყვით დაყრდნობია ბალიშს და თვალს არ მაშორებს. რატომღაც იმ ადამიანებზე ვფიქრობ, რომლებმაც დიდი თუ პატარა შენაკადებივით თავიანთი ძალა, თავიანთი გულისძგერა გაუნაწილეს ამ სათნო ქალიშვილს და ყველაზე დიდი ტკივილის გადატანა გაუადვილეს.

რაზმაძეების ოჯახში აღარავინ ახსენებს 1942 წელს, როდესაც უბედური შემთხვევის გამო მძიმედ დაშავდა პატარა ნელი და ხერხემლის მძიმე ტრავმა მიიღო. მას შემდეგ ოცმა წელმა განვლო, იგი კი დღემდე საწოლზეა მიჯაჭვული. მინახავს, როგორ იწვევს სიბრალულის გრძნობას ჯანსაღი ადამიანი, რომელიც უმიზნოდ კარგავს დღეებს. მინახავს ადამიანები, რომლებიც ვერ ეტყვიან, რათ მოვიდნენ ამ ქვეყნად, რას აკეთებენ და საით მიდიან. ნელის თვალებს რომ ვუყურებ, ძალაუნებურად მებადება აზრი, რომ ადამიანებს ოფიციალურად უნდა ეძლიოდეს უფლება დედამიწაზე დადგან ფეხი, ადამიანები ამ უფლებას უნდა იპოვებდნენ. ვიცი, რომ ნელი ის პირველთაგანი იქნება, ვისაც ამ უფლებას მიანიჭებენ. მიანიჭებენ თავისი შეუპოვრობისათვის, თავისი დიდი გულისათვის.

როგორც ჩანს, ფიქრებმა შემიყოლიეს და გადასასვლელთან წითელი შუქნიშანი ვერ შევნიშნე. მანქანის დამუხრუჭების ხმამ გამომაფხიზლა, მძღოლი გაბრაზებული მიყვიროდა, ბოლოს ვეღარ მოითმინა და მანქანის კარი გააღო, მანქანადან ჩემმა ნაცნობმა ახალგაზრდა ქალმა შემომხედა და ხელით მანიშნა, ჩავჯექი. მანქანაში ჩავჯექი. კარგა ხანს ხმამოუღებლივ მივდიოდით, მერე რატომღაც უცებ ვუთხარ ყველაფერი, ქალს არ გაჰკვირვებია, მხოლოდ სახე გაუხდა სევდიანი და ნერვიულად დაეძაბა.

— ადამიანები ალბათ, დაიღუპებოდნენ, ერთმანეთის მხარს რომ არ გრძნობდნენ, — რატომღაც სხაპასხუპით მითხრა მან და მერე უფრო დინჯად განაგრძო, — ეგ ამბავი მეც გამიგონია, არ მახსოვს მხოლოდ ვისგან. ვიცი, რომ ნელი პედაგოგი გახდა.

მძღოლმა გაიოცა.

— ჰო, რათ გიკვირთ. უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და უცხო ენათა მასწავლებელია.

მომაგონდა პატარა ბიჭი, ნელის კართან რომ შემომხვდა, გაკვეთილი დაემთავრებინა და შინისკენ გარბოდა.

— ამათი თითო ხუთიანი თითო წლის სიცოცხლეს მმატებს, — მითხრა მაშინ ნელიმ.

შორს მოსკოვში, უცხო ენათა დაუსწრებელი ინსტიტუტის არქივში დევს ნელი რაზმაძის საბუთები, საბუთებზე ჩვეულებრივი აღნიშვნებია, აწერია გვარი და სახელი, მისამართი, აქვეა ნელის მიერ მიღებული ნიშნების აღმრიცხველი დოკუმენტები. არ დავიწყებიათ არც ერთი წვრილმანი, მაგრამ აქ მაინც არ არის მთავარი რამ, არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი იმაზე, რომ საბუთებში ჩაწერილი თვითეული ხუთიანი ადამიანის ნებისყოფის უდიდესი გამარჯვებაა, სიცოცხლის სიყვარულია, ეს არის ადამიანის ჭიდილი საკუთარ თავთან და ყველა იმ საუკეთესო თვისების გამოვლინება, ადამიანს მოქალაქეობის უფლებას რომ ანიჭებს.

„ბიჭითად გიმუშავნიათ, ეცადეთ ასევე განაგრძოთ“, — პირველი ხუთიანი და პირველი წერილი მიიღო ნელიმ მოსკოველი პედაგოგის ანტონინა ლიუბოვსკაიასგან.

არაფერი იცოდა მაშინ ანტონინა გიორგის ასულმა თავისი მოწაფის შესახებ. საბჭოთა კავშირის რომელი კუთხიდან არ იღებდა იგი წერილებსა და ნამუშევრებს. მერე ნელი შეეჩვია იმ აზრს, რომ თბილისელ გოგონას მიერ შესრულებულ დავალებაში უეჭველად ხუთიანი უნდა დაეწერა. ერთხელ მოულოდნელი ამბავი მოხდა. ლიუბოვსკაიამ სრულიად გაუმართლებელი, მექანიკური შეცდომები იპოვნა ნელის ნამუშევარში. „ნელა რა დაემართა?“ — შეწუხდა მასწავლებელი და — წერილი მაშინვე გაუგზავნა.

პასუხს არ დაუყოვნებია. ანტონინა ლიუბოვსკაიამ მთელი დღე ვეღარ მოჰკიდა ხელი სამუშაოს. ნელის წერილი ედო ჩანთაში.

„მე მჯერა ადამიანების, — სწერდა ნელი, — ისინი, ვინც ჩემთან მოდიან, თითქოს ყველა ამათთაგანის მაგივრობას მიწევენ, ვინც ჩემს ქალაქში თუ მის გარეთ ცხოვრობს. მათ რომ ვუყურებ, ასე მგონია ამ ქვეყნად მხოლოდ სიკეთე არსებობს, არ მინდა დავიჯერო, რომ ადამიანმა ადამიანს შეიძლება ცუდი რამ გაუკეთოს: იმ დღეს მეწყინა რაღაც. მეწყინა და როგორც ჩანს შეცდომაც იმატომ დავუშვი. მე მინდა, რომ ყველანი ძალიან კარგები იყოთ“.

მასწავლებელი ქალი მეორე დღეს ადამიანებივით ათვალიერებდა გასასწორებლად მომზადებულ სამუშაოებს. ცდილობდა ამოეკითხა თვითეულ მათგანში სტრიქონებს შორის დაფარული ფიქრები და განცდები.

„აი თურმე როგორი ყოფილა ჩემი ნელი“. საპასუხო წერილიც სწორედ ამ სიტყვებით დაიწყო.

ერთხელ მასწავლებელმა რომელიღაც ინგლისური წიგნის წაკითხვა შესთავაზა თავის მოწაფეს. წიგნი ნელის არც ერთ მეგობარს არ აღმოაჩნდა. „ნუ ინერვიულებ, საღამოსთვის უეჭველად ვიშოვნიო“, დაამშვიდა ნელი ცალა ანთელავამ. საღამოთი წიგნი მართლაც ნელის სასთუმალთან აღმოჩნდა, დაღლილ ცალას ეშმაკურად უციმციმებდნენ თვალები, მაგრამ იგი არაფერს ამბობდა იმის შესახებ, თუ რამდენი ადამიანის უყურადღება და ხელი ერია ამ წიგნის შოვნაში. „ალბათ ნახევარი თბილისი მაინც ეძებდა ამ წიგნს“, — გაიფიქრა მან და ნელის შეხედა, ნელი წიგნს ფურცლავდა და გახარებულს არაფერი შეუნიშნავს.

„ნამდვილად ღირდა ამ სიხარულისათვის ამდენი ხალხის შეწუხება“, — სადღაც გულის სიღრმეში „ჩაილაპარაკა“ ცალამ და უცებ შეეშინდა: ხმამაღლა ხომ არ გამომივიდა ნათქვამიო. რა საოცრები არიან ადამიანები, როგორც კი ნელის სახელს ახსენებდა, ყველანი წიგნის შოვნას ისე გულმხურვალედ ეკიდებოდნენ, თითქოს ეს ცალასთვის კი არა, მათთვის დაევალებინოს ნელის. ალბათ ასეთსავე ამბავზე თქვა ვიღაცამ მოსწრებულად: ადამიანები გამოკვეთილად მოჩანან მაშინ, როდესაც საკუთარ სინდისს ეხებიან, მათი გამოცნობა თუ გინდა, სწორედ ასეთ დროს უნდა ნახო.

... შეუჩნევლად გავიდა წლები და ნელი რაზმაძეს უცხო ენათა პედაგოგის კვალიფიკაცია მიიღო. მოსკოველებმა მიღებულ ცნობას საქართველოს განათლების სამინისტროს დოკუმენტიც დაერთო.

მოსწავლეებიც მალე გამოუჩნდნენ. პირველად პატარა ბიჭი მოიყვანეს. ზარმაცობსო, უთხრა ახალგაზრდა ქალმა და დამატებითი გაკვეთილების მიცემა სთხოვა. ბავშვივით ელაპარაკა ნელი. გაკვეთილი რომ დაამთავრა, კარგახანს უყურებდა ეშმაკ ბიჭუნას, თითქოს უნდოდა მის თვალებში ამოეკითხა განაჩენი.

„ნეტა მოვა კიდევ?“ — უხმოდ ეკითხებოდა ნელი თავის თავს და აფუფუნებულ ბიჭუნას ადევნებდა თვალს. მერე მთელი დღეები რატომღაც უსასრულოდ გაგრძელდა. არავის გამოსტეხია ნელი, მეორე გაკვეთილის ბედი რომ ანერვიულებდა. ბოლოს ლოდინს თავი რომ დაანება, სწორედ მაშინ უთხრა დედამ, შენი მოწაფე მოვიდაო.

ის ბიჭი მერე დავაუკაცდა, უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარა გამოცდები და ინგლისურში მიღებული ხუთიანის ამბავი მაშინვე ტელეფონით აცნობა ნელის, საღამოთი კი მასთან მივიდა და დიდხანს იჯდა მის საწოლთან. არაფერი უთქვამს, მხოლოდ უღიმოდა მასწავლებელს და წასვლის ხანს მხოლოდ ერთი რამ უთხრა, ასე მგონია უმაღლესი მესამე სასწავლებელია ჩემთვისო.

„ანტონინა გეორგიევნა! — მისწერა ნელიმ მოსკოვში, — ჩემმა პირველმა მოსწავლემ დღეს ხუთიანი მიიღო. არ ვიცი, რამდენი წლის სიცოცხლე შემემატა. მგონი ბოლოს და ბოლოს მეც შევძელი სიკეთე მომეტანა ადამიანებისათვის. ძნელია იფიქრო, რომ უსარგებლოდ ატარებ სიცოცხლის დღეებს. ვფიქრობ, რომ ამ ხუთიანის გარდა კიდევ რაღაც ძალიან დიდი გავაკეთე. ჯერ ვერა ვხვდები რა, მაგრამ ალბათ ამის განმარტებაც თავისთავად მოვა. ძალიან დიდი მადლობა მზრუნველობისათვის. ახლა უფრო მეტად ვხვდები, რომ ჩვენ, ადამიანები, როგორღაც უხილავი ძაფებითა ვართ ერთმანეთთან დაკავშირებული. ვიღაცამ თქვენ გადმოგცათ თავისი ცოდნა, თქვენ მე შემასწავლეთ ენა, მე სხვას, ისიც თავის თავს იპოვნის ცხოვრებაში და კეთილ საქმეებს გაკეთებს. ასე მეჩვენება, თითქოს ერთმანეთში ვარსებობთ და ალბათ ამიტომ ვართ ძლიერნი...“

ქალიშვილს ზშირად უფიქრია: „ჩემს ირგვლივ ყველაფერი იცვლება, ნეტა როგორია ახლა თბილისი?..“.

თითქოს ნატვრა აუსდაო, თბილისი თავისი ხმაურიანი და მწვანე ქუჩებით „შინ ეწვია“ ნელის. ერთხელ რუსუბუკის დამსახურებული პედაგოგი მარიამ ბურჭულაძე ესტუმრა და განათლების სამინისტროს სახელით ტელევიზორი მოუტანა საჩუქრად. ცისფერი ეკრანიდან ოთახში გადმოანჯა ნელის ნანატრმა ქალქმა. ვეღარ იცნო იგი ნელიმ. საოცრად გაზრდილიყო თბილისი, დავაუკაცებულიყო და განიერად გაეშალა ძლიერი მხრები. უცხო ადამიანები მოჩანდნენ პატარა ეკრანზე და ნელის ეჩვენებოდა, რომ ღია სარკმლიდან ესაუბრებოდნენ ძველი მეგობრები, აჩვენებდნენ ყველაფერს, რისი ნახვაც ვერ შეძლო ამ ოცი წლის მანძილზე. აი აქ იმ ადამიანებში ხედავ ნელი თავის თავს, აი იმ დაზგასთანაც დგას, აი იმ მინდორზეც, რომელიღაც გამოგონებაშიც უდევს ხელი.

იგი ახლა თარგმნის ოსტატობას ეუფლება, გადაწყვეტილი აქვს ინგლისური ნაწარმოებები თარგმნოს. საწოლთან მაგნიტოფონი უდევს, მეტყველებაში ვარჯიშობს და ინგლისურ ჩანაწერებს უსმენს. მეგობრები ყოველდღე აკითხავენ, ზოგი ურეკავს. ამას წინათ ლიანა ანდღულაძემ აირბინა და თავისი მეუღლე გააცნო. ერთი კვირაა, რაც დაქორწინდნენ და ნელი უკვე კარგად იცნობს თავის ახალ მეგობარს. „დაუძლეველი ამ ქვეყნად არაფერია“, — ამშვიდებს ხოლმე ზოგჯერ იგი რომელიმე აღელვებულ მეგობარს და თანაგრძნობით უღიმის. „ნურასოდეს ნუ მეტყვით რომ აღარაფერი გაინტერესებთ, რომ რაღაც შეუხორცებელ იარას ატარებთ. ყველაფერი ეს სისულელეა. უნდა გჯეროდეს, უნდა გიყვარდეს, და ყველაფერს ადვილად გადაიტანთ. მე მიყვარხართ თქვენ ყველანი...“

ფიქრებიდან ჩემმა თანამგზავრებმა გამომარკვიეს. არ მახსოვს როდის ვუთხარი მისამართი, ზედ სახლთან კი გაეჩერებინათ მანქანა. მადლობა გადავუხადე და ისევ ცხელ ასფალტს გავეყენ. თითქოს უსასრულოდ მიემართება ვაჟა-ფშაველას ეს ახალი პროსპექტი და სადღაც მთების ძირში იკარგება... ქუსლებით დაცხრილულ ასფალტზე გოგო-ბიჭები გარბიან და რაღაც მხიარულად გაჰაიჟინებენ. მე ამ გოგო-ბიჭების მომავალს ვხედავ, ძალიან დიდსა და ნათელ მომავალს.

ნელი რაზმაძის თვალებსაც ვარჩევ და მიხარია, მიხარია ამ მზის, ამ მიწის და ნახვა, ამ ადამიანების დანახვა, რომლებიც თავიანთი დაუსრულებელ სიცოცხლის სმილერას მღერიან.

მარიკა ჩხარტიშვილი.

• • •

სურათზე: ნელი რაზმაძე.

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲔᲑᲡ

მოსკოვი, 13 სექტემბერი. (საკადესი). სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმმა საბჭოთა ოსტატების ჯგუფს მიანიჭა ჯილდოები საუკეთესო ნაშრომებისათვის ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების დარგში 1963 წელს.

ოქროს მედლებით დაჯილდოებულ არიან მოქანდაკე ვ. ციგალი — მაუტჰაუზენში, აგებული საბჭოთა კავშირის გმირის დ. მ. კარბიშევის ძეგლისათვის; მოქანდაკეები ვ. ისაევა და რ. ტაურიტი, არქიტექტორები ა. ვასილიევი და ე. ლევინსონი — ლენინგრადის პიასკარევის სასაფლაოს მემორიალური ანსამბლისათვის.

ვერცხლის მედლები მიენიჭათ მხატვრებს ვ. ივანოვსა და პ. ოსოვსკის, გრაფიკოს ი. ნეპრინცევს, მოქანდაკეებს ო. ელდაროვსა და ტ. მამედოვს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ, ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

მოსკოვი, 14 სექტემბერი. (საკადესი). დღეს დღისით შერემეტიოვოს აეროდროზიდან სპეციალური თვითმფრინავით ლონდონს გაფრინდა მოსკოვის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის კოლექტივი დირიჟორ კირილ კონდრაშინის ხელმძღვანელობით. ორკესტრი, რომელთანაც ერთად გამოვლენ ცნობილი სოლისტები დავით და იგორ ოისტრახები, იაკობ ფლიერი, დანიელ შაფრანი და ვლადიმერ აშკენაზი, მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა მუსიკისა და საბჭოთა სიმფონიურ ხელოვნების ფესტივალში ინგლისში.

ხელოვნების ეს ფესტივალი „ფესტივალ-ჰოლის“ დარბაზში მ. გლინკას ოპერა „რუსლან და ლუდმილას“ უვერტიურისა და დ. შოსტაკოვიჩის მერვე სიმფონიის შესრულებით. საბჭოთა მუსიკოსები ინგლისში გამართავენ სულ 11 კონცერტს — ლონდონში, მანჩესტერში, ეუოლვერჰემპტონში, ჰადესფილდში. ფესტივალის პროგრამაშია ს. პროკოფიევის, დ. შოსტაკოვიჩის, ა. ხაჩატურიანის, დ. კაბალევსკის, მ. ვაინბერგის, ყ. ყარაევის, ე. მირზოიანის, რ. შჩედრინის ნაწარმოებები, რუსული და საზღვარგარეთული კლასიკა.

Ⓜ. Ⓩ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1918 წლიდან, რევოლუციური მოღვაწეობის აქტიური მონაწილე, ვეტერანი, პენსიონერი, მეხუთე მოწვევის ... **მ. ზ. წერეთელი.**

მ. ზ. წერეთელი დაიბადა 1892 წელს ყოფ. შორაპნის მაზრის სოფელ უსახელოში. სწავლობდა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოსწავლეთა გამოსვლებში, რისთვისაც სასწავლებლიდან გარიცხეს.

1909 წელს ქუთაისის გუბერნიის პროკურორზე თავდასხმაში მონაწილეობისათვის მ. წერეთელი დაამტამრეს, მიუსაჯეს 4 წლით საკატორღო მუშაობა. 1913 წ. 9 წლით გადასახლეს ირკუტსკის გუბერნიაში. იქ დაუკავშირდა ადგილობრივ გლეხებს და მათ შორის არალეგალურ მუშაობას ეწეოდა. 1914 წელს მ. წერეთელი მხგრეველად იწყებს მუშაობას ჩერემხოვოს ქვანახშირის შახტში, სადაც აქტიურად ებმება მეშახტეთა რევოლუციურ მუშაობაში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მ. წერეთელს ირჩევენ საშახტო კომიტეტის თავმჯდომარედ და ჩერემხოვოს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატად.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში მ. წერეთელი ჩერემხოველ მუშათა მებრძოლ რაზმებთან ერთად მონაწილეობდა ირკუტსკის განთავისუფლებაში.

მ. წერეთელი სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილეა, მეთაურობდა ერთ-ერთ რაზმს ნ. კალანდარიშვილის პარტიზანულ შენაერთში და მამაცურად იბრძოდა იაპონელი ინტერვენტების, სემიონოვის ბანდიტების და კოლჩაკის ურდოების წინააღმდეგ იმერბაიკალსა და შორეულ აღმოსავლეთის მხარეში.

1922 წელს მ. წერეთელი საქართველოში დაბრუნდა და მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, იყო ახალციხის, დუშეთისა და თბილისის სამაზრო მილიციის უფროსად, სანდარის მტს-ის დირექტორად, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ტრესტის გარდაბნის ქარხნის დირექტორად და სხვ.

მ. ვ. წერეთელმა მონაწილეობა მიიღო დიდ სამამულო ომში, 1941-1943 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარის ნაწილებში იყო ათასეულის მეთაურად.

მ. წერეთელს პენსიაზე გადასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტია პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მუშაობა.

მ. წერეთლის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ ᲗᲣ „ᲨᲘᲠᲐᲥᲘ“?

ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢ ფაზაში შედის ჩვენი ქვეყნის „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების ასპარეზობა. მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის 15 გუნდიდან ამჟამად პირველი ადგილისათვის იბრძვის მხოლოდ ორი კოლექტივი: თბილისის „ლოკომოტივი“ და ლენინაკანის „შირაქი“.

გაიმართა მორიგი შეხვედრები. ლიდერი, თბილისის „ლოკომოტივი“ ფოთთან ეთამაშებოდა ადგილობრივ „კოლხიდას“ და მატჩი უშედეგოდ (0:0) დაამთავრა. ლენინაკანის „შირაქმა“ კარგად ჩაატარა გასვლითი მატჩი სუმგაითში „ხიმიკთან“ და მოიგო ანგარიშით 3:0.

ახლა თბილისის „ლოკომოტივს“ 22 თამაშიდან 34 ქულა აქვს და ინარჩუნებს ლიდერობას. „შირაქს“ 22 თამაშიდან 32 ქულა აქვს. მესამე ადგილზეა ფოთის „კოლხიდა“, რომელიც ლიდერებს საგრძნობლად ჩამორჩა (24 თამაშიდან 28 ქულა).

ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისის „ლოკომოტივისა“ და ლენინაკანის „შირაქის“ შეხვედრას, რომელიც თბილისში 19 სექტემბერს გაიმართება.

ᲜᲐᲒᲘᲯᲘ ᲣᲙᲐᲜ

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲠᲘᲢᲘ

ᲪᲣᲓᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ

ᲪᲘᲪᲮᲐ (მოსკოვი) - „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — 3:0 (2:0). მოსკოვი. 15 სექტემბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი ე. ხრიამსი (ტალინი).

ᲪᲘᲪᲮᲐ — ბაუმა, პონომარიოვი, შესტერნევი, ბაგრიჩი, სემიგლაზოვი, მანოშინი, ბასალიკი, დოროდნიხი, ფედოტოვი, პოლიკარპოვი, აპუხტინი (გრეკოვი).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — კოტრიკაძე, სიჭინავა, ხუროცლავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, დათუნაშვილი, პეტრიაშვილი, მეტრეველი, კალოევი, ბარქაია, მესხი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ დინამოელთა კარგმა თამაშმა ლენინგრადში შექმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი მოსკოვიდან წარმატებით გამოვიდოდნენ, მით უმეტეს, რომ მოსკოვის არმიელები საკმაოდ უფერულად ატარებდნენ ბოლო შეხვედრებს. ეს განსაკუთრებით ითქმის მათს თავდამსხმელებზე, რომლებსაც მთელი ჩემპიონატის მანძილზე სულ 18 ბურთი ჰქონდათ გატანილი.

განსაკუთრებით უმძიმთ არმიელთა დაცვასთან თამაში თბილისელებს. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე შეექმნა მეტად ცუდი ტრადიცია — თბილისელებმა ვერცერთხელ ვერ შეძლეს ცსკა-ს დამარცხება (როგორც ოფიციალურ, ისე ამხანაგურ მატჩებში).

შეხვედრა დაიწყო თბილისელთა შეტევებით, მაგრამ მოსკოველებმა საკმაოდ სწრაფად გამოთიშეს თამაშიდან სტუმრების გარემარბები. უფრო მეტიც, მარკვენა მცველი პონომარიოვი, რომელიც ადრე თავდამსხმელი იყო, იგონებდა თავის „ძველ სპეციალობას“ და დროდადრო მეტად სახიფათოდ ერთვოდა იერიშებში. ამჯერად კარგად ითამაშეს მოსკოველთა თავდამსხმელებმა (განსაკუთრებით ფედოტოვმა). მე-11 წუთზე სწორედ მან გახსნა ანგარიში. რვა წუთის შემდეგ ბასალიკმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანა თბილისელთა კარში და ასეთივე ანგარიშით დასრულდა თამაშის პირველი ნახევარი.

მეორე ნახევარი დაიწყო იმით, რომ თბილისელმა მცველებმა პირველსავე წუთზე დაუშვეს უხეში შეცდომა და პოლიკარპოვმა ანგარიში სამამდე აიყვანა. ამის შემდეგ თბილისელები ხშირად უტევდნენ მასპინძელთა კარს, მაგრამ ხან არაზუსტმა დარტყმებმა, ხან კი მეკარე ბაუმას კარგმა თამაშმა არ მისცა მათ ანგარიშის შეცვლის საშუალება.

მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0. თბილისის „დინამომ“ გათამაშების ცხრილში ერთი საფეხურით უკან დაიხია — მეორიდან მესამე ადგილზე გადავიდა.

„Გ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ მორიგი მატჩები ჩვენი ქვეყნის პირველობაზე „ბ“ კლასში მოკავშირე რესპუბლიკების პირველი ზონის გუნდებს შორის.

შეჯიბრების ლიდერმა კიროვაბადის „დინამომ“ ანგარიშით 5:2 დაამარცხა ერევნის „ნაირი“. ახლა კიროვაბადელებს 35 ქულა აქვთ. ბათუმის „დინამომ“ ქ. ტირასპოლში დაამარცხა ადგილობრივი „ლუჩაფერული“ ანგარიშით 2:1 და ახლა ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება. სოჩუმის „დინამომ“ ანგარიშით 1:0 მოუგო ქ. ხელცში ადგილობრივ „სპარტაკს“.

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ, ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

კვირას გაიმართა კიდევ სამი შეხვედრა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე „ა“ კლასის პირველი ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

კუიბიშევში ადგილობრივი „კრილია სოვეტოვი“ ეთამაშებოდა მოსკოვის „დინამოს“. ცნობილია, რომ კუიბიშეველები მოსკოვის „დინამოსათვის“ წლების განმავლობაში მეტად სახიფათო მეტოქენი არიან, მაგრამ ამჯერად ტრადიცია „არ გამეორდა“. მოსკოველ ვ. კოროლენკოვის მიერ გატანილმა ერთმა ბურთმა მეტად მნიშვნელოვანი ორი ქულა მოუტანა სტუმრებს.

მინსკში დინამოელებმა მიიღეს კიშინიოვის „მოლდოვა“, რომელიც შეუპოვრად იბრძვის „სახიფათო ზონისათვის“ თავის დასაღწევად. ამჯერად „მოლდოვამ“ ვერაფერი გააწყო მასპინძელთა შეტევებთან. მინსკის „დინამომ“ გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

ლენინგრადში როსტოვის არმიელები დამარცხდნენ (1:2) შეჯიბრების ერთ-ერთ აუტსაიდერ ლენინგრადის „დინამოსთან“. ამ გამარჯვებით ლენინგრადის „დინამომ“ მეცხრამეტე ადგილიდან მეჩვიდმეტეზე გადაინაცვლა.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

მდგომარეობა 17 სექტემბრისათვის

	თ.	ქ.	ბ.
„სპარტაკი“ (მ.)	26	37	48—22
„დინამო“ (მ.)	24	36	31— 7
„დინამო“ (ობ.)	26	35	43—27
„დინამო“ (მინ.)	26	33	35—21
„ზენიტი“ (ლ.)	26	32	35—25
„დინამო“ (კ.)	26	31	49—35
ცსკა (მ.)	26	31	21—15
„ნეფტჩანიკი“ (ბ.)	26	29	35—35
სკა (როსტ.)	26	28	42—27
„ტორპედო“ (მ.)	26	28	33—26
„შახტიორი“ (დ.)	26	25	18—21
„ტორპედო“ (ქ.)	25	25	14—20
„ლოკომოტივი“ (მ.)	26	20	27—37
„კაირატი“ (ალმ.)	25	20	19—33
„ავანგარდი“ (ხ.)	26	20	18—35
„არარატი“ (ერ.)	26	19	27—38
„დინამო“ (ლ.)	27	19	27—40
„მოლდოვა“ (კიშ.)	25	18	15—31
„კრილია სოვეტ. (კუიბ.)	26	17	26—38
„პახტაკორი“ (ტ.)	26	13	23—53

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲰᲐᲕᲐᲜᲐᲨᲘ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, 15 სექტემბერი. (საკადესი). კაპიტალისტურ ხსოვნის საერთაშორისო საპატრიოტო ტურნირის მეთოთხმეტე ტურში მსოფლიოს ექსჩემპიონმა მ. ტალმა, რომელიც კუბელ ოსტატ კ. კალეროსთან თამაშობდა, საუკეთესო პოზიციაში შეცდომა დაუშვა და იძულებული გახდა დანებებულიყო. ე. გელერმა მოუგო ბ. დე გრეიფს, ხოლო გ. ბარეამ — ვ. ულმანს. კ. დარგამ დაამარცხა რ. ორტეგა, ხოლო დ. გარსიამ — ე. ხიმენესი.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა გ. კორჩნოის შეხვედრა ბ. იცკოვთან და ლ. პახმანისა — მ. ბობოცოვთან. ადრე გადადებულ პარტიებში მ. ტალმა მ. ვეიდთან, ე. გელერს, ლ. პახმანმა — დ. გარსიას, ბ. იცკოვმა — ბ. დე გრეიფს.

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, 16 სექტემბერი. (საკდესი). ჭადრაკში კაპიტალისტს სახელობის საერთაშორისო ტურნირის მეთხუთმეტე ტურში ლიდერების ცენტრალური შეხვედრები ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა. გადადებულ პოზიციებში ვ. კორჩნოი, ე. გელერი და ლ. პახმანი უპირატესობას ინარჩუნებენ პარტიებში შესაბამისად რ. ვეიდთან, პ. ტრიფონოვიჩთან და ე. კობოსთან.

კუბელმა ოსტატმა ე. ხიმენესმა გაახარა თავისი თანამემამულენი და გაიმარჯვა გროსმაისტერ მ. ბობოცოვთან შეხვედრაში. ბ. ბანცამ მოუგო დ. გარსიას, ფ. პერესმა — კ. კალეროს, ხოლო კ. დარგამ — ხ. ბროდერმენს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚ მოცურავეთათვის იღბლიანი გამოდგა ბლეგპულის აუზი. რ. მაკგრეგორის მსოფლიო რეკორდის შემდეგ ევროპის ექვსი ქვეყნის მატჩში თავი ისახელა ბრასის ტალის ახალგაზრდა მოცურავემ ს. მიტჩელმა. მან 220 იარდი გასცურა 2 წუთსა და 51,4 წამში. ეს შედეგი 0,3 წამით უკეთესია წინა მსოფლიო რეკორდზე, რომელიც აგრეთვე ინგლისელ ა. ლონსბოროს ეკუთვნოდა. (საკადესი).

ᲐᲥ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ ᲙᲚᲐᲡᲢᲣᲜᲙᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ. (საკ. კორ.). კრასნოდარის მხარეში, ქ. სოჭის მახლობლად მდებარეობს პატარა ქართული სოფელი პლასტუნკა. აქ სოფლის მკვიდრთ აქვთ რვაწლიანი ქართული სკოლა. ამ სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრებიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სასწავლებლებში.

ამ დღეებში აქ ჩამოვიდნენ პლასტუნკელ